შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (9.637)

28 ივნისი–5 ივლისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა

დასრულდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია. დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა; ევროკავშირის მხრიდან - ევროკომისიის პრეზიდენტმა, ჟოზე მანუელ ბაროზომ, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა, ჰერმან ვან რუმპემ და ორგანიზაციის 28-ვე წევრი ქვეყნის პირველმა პირმა. ქართული დელეგაციის შემადგენლობა "1+4" ფორმატით განისაზღვრა. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გარდა დელეგაციაში ოთხი მინისტრია - საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტერგაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. ბრიუსელი საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით საზეიმოდაა გაფორმებული. ლუქსემბურგის მოედანზე გამოფენილია საქართველოსა და ევროკავშირის დროშები. დამთვალიერებელს შეუძლია საქართველოს შესახებ ინფორმაცია სპეციალური ბუკლეტებიდან შეიტყოს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება 2013 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ ვილნიუსში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტზე განხორციელდა.

- მინდა ამ დღეს ემოციები და გრძნობები გაგიზიაროთ ჩემ მშობლიურ ენაზე. დღეს საქართველო დიდ ნაბიჯს დგამს თავისუფალი ევროპისკენ! ვულოცავ ამ დღეს მთელ საქართველოს! – ამგვარი მილოცვით დაიწყო სიტყვით გამოსვლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე. მან უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი დღე უწოდა 27 ივნისის თარიღს და აღნიშნა, რომ საქართველო მზად არის იყოს მშვიდობისა და თანამშრომლობის გარანტი რეგიონში.

"დღეს ჩემი სამშობლოს ისტორიაში იწერება ახალი დიდი თარიღი, რომელიც ჩვენ იმედს გვისახავს და რომლითაც ჩვენი შთამომავლობა იამაყებს. სწორედ ამ დღის დადგომაზე ფიქრსა და ზრუნვას შეალია ცხოვრება არაერთმა თაობამ. ამ დღეს დიდხანს ელოდა ჩემი ქვეყანა. მე ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად პატივი, სინამდვილედ ექცია ჩვენი წინაპრების ოცნება,"-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს საქართველოს ეძლევა ისტორიული შანსი, დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოს - ევროპას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სივრცეს.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მთავრობის მეთაურმა აფხაზ და ოს ძმებსაც

(გაგრძელება გვ. 3)

ჩვენ პატივს ვცემთ ამომრჩევლის ნებას...

დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიამ შემაჯამებელი ოქმი 24 ივნისს დაამტკიცა. ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომასაც სწორედ საოლქო კომისიის თავმჯდომარე დანიშნავს. ეს კი შემაჯამებელი ოქმის მიღებიდან 2 კვირის ვადაში უნდა დაინიშნოს. პირველი სხდომა შეიძლება უხუცესი წევრის მიერ გაიხსნას, თუკი მას არჩეულ დეპუტატთა ნახევარზე მეტი ესწრება. „შირაქი" უკვე წერდა, რომ ახალი მოწვევის საკრებულოში დეპუტატის მანდატი ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მოიპოვა. წინა წლებისგან განსხვავებით,პროპორციული სისტემით არჩეულ დეპუტატთა რიცხვი 15-მდეა გაზრდილი, ამას ემატება მაჟორიტარული სისტემით საკრებულოში შესული 12 დეპუტატი. საბოლოო ჯამში, დედოფლისწყაროს საკრებულო 27 წევრით შედგება, აქედან 25 მანდატს „ქართული ოცნება" დაიკავებს, ორს კი „ნაციონალური მოძრაობა".

„ნაციონალური მოძრაობის" სიის პირველი ნომერი და დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი „ქართული ოცნების" ღირსეულ წარმომადგენლებს გამარჯვებას ულოცავს. ბაღაშვილმა ეს განცხადება „ობიექტივის" არხზე, თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათის" პირდაპირ ეთერში გააკეთა.

ლევან ბაღაშვილი: „ჩვენს მოწინააღმდეგეებშიც არიან ღირსეული ადამიანები და მინდა მივულოცო წარმატება. ვინც უღირსად გაიმარჯვა, თვითონ კარგად იციან და მათ ნამდვილად არ მივულოცავ. მაგრამ, კოლეგიალობა მოითხოვს, რომ ჩვენ ვითანამშრომლოთ და დედოფლისწყაროს გულისთვის ყველამ გადავდგათ ნაბიჯები... დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნების" გუნდშიც არიან ისეთი ადამიანები, ვისთან ერთადაც დაჯდომა, რაიონისთვის შრომა, თუ საქმის ერთად კეთება შესაძლებელი იქნება. მოგეხსენებათ, საკრებულოში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და ცხადია, ვეცდები ჩემი გამოცდილება დედოფლისწყაროს მაქსიმალურად მოვახმარო. თუ დისკუსიაში შევალ, ვეცდები ოპონენტები და შემდგომში კოლეგები, მაქსიმალურად დავარწმუნო ჩემს სიმართლეში.

იყო საუბარი, რომ ორი ადამიანი რას შეცვლის, მაგრამ ეს ორი დეპუტატი შეძლებს იმას, რომ სიმართლე გამოიტანოს. მოლოდინი უფრო მეტის გვქონდა, მაგრამ ამ ვითარებაში ისიც გაგვიკვირდა, რომ ამხელა ზეწოლის ფონზე, ორი მანდატის მოპოვება შევძელით. კითხვის ნიშნის ქვეშ არ იდგა, რომ მმართველი გუნდი დედოფლისწყაროში ერთ-ერთ მაღალ მაჩვენებელს მიიღებდა, რადგან პრემიერის რაიონია. მაგრამ მიიღეს კატასტროფულად მაღალი მაჩვენებელი. კომისიის წევრების მხრივ არ გვქონდა სათანადო რესურსი, თავიდან გათვალისწინებულმა პიროვნებებმა შემდეგ უარი თქვეს წევრობაზე, ამიტომ სიტუაციის ბოლომდე გაკონტროლება ვერ შევძელით. დავიჭირეთ დარღვევები, გაყალბების, ოქმების გადაკეთების მცდელობები, მაგრამ ისინიც გაგვიუქმეს.

ფაქტია, პეტრე მამულაშვილმა უბანი მიატოვა და ციფრებს ათანხმებს საოლქო კომისიაში. ამის ამსახველი ვიდეო კადრებიც გავრცელდა. საოლქო კომისიამ მხოლოდ საყვედური გამოუცხადა. მხოლოდ ერთი წევრი გვყავს კომისიაში, დანარჩენები აბსოლუტურად ყველა მართვადია რადგან თითქმის ყველა მათგანი „ქართული ოცნების" დაკომპლექტებულია, იქ საოლქოს წევრებიც არიან, რომლებზეც პირდაპირ ვერ ვიტყვი ამას, მაგრამ ყველა მათგანი იმართება.

მე მინდა მოსახლეობას დავანახო ის, რასაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს შეხვედრებისას ვპირდებოდი. მინდა გამოვავლინო უუნარო დეპუტატები, რომლებიც მხოლოდ

(გაგრძელება გვ. 6)

„ბასიანის ბრძოლა"- შეხვედრა წარსულთან

გვ. 2

ანსამბლი „ხორნაბუჯი" 33 წლისაა...

გვ. 5

დედოფლისწყაროში წლის ბოლომდე 100 კილომეტრი ქარსაფარი ზოლის გაშენებაა დაგეგმილი

გვ. 2

სულით ქართველი

გვ. 5

C M Y K

დედოფლისწყაროში წლის ბოლომდე 100 კილომეტრი ქარსაფარი ზოლის გაშენებაა დაგეგმილი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენითი სამუშაოები დაათვალიერა. მინისტრის თქმით, რაიონში წლის ბოლომდე 100 კილომეტრი ქარსაფარი ზოლის გაშენებაა დაგეგმილი.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი შერჩეულია როგორც კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადი რაიონი. აღნიშნულ ტერიტორიაზე 2012-2013 წლებში 60 კილომეტრი ქარსაფარი ზოლის რეაბილიტაცია განხორციელდა. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ნერგები დამატებით კიდევ 40 კილომეტრზე დაირგვება და წლის ბოლომდე 100 კმ ქარსაფარი ზოლის გაშენებაა დაგეგმილი“, - განაცხადა გოგალაძემ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ქარსაფარ ზოლში უცხოელ ექსპერტებთან ერთად სანერგე-საბაზისე მეურნეობაში გამოყვანილი და დარგული ნერგები მოინახულა.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტის განხორციელება ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის შემცირებას, სახნავ-სათესი მინების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებებასა და ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდას.

ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტს სამინისტრო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) პარტნიორობით და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

საბაჟო ტარიფისგან გათავისუფლდება ქართული წარმოების თითქმის ყველა პროდუქტი

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ქართული წარმოების ყველა პროდუქტი, ნიორის გარდა, რომელზეც რაოდენობრივი შეზღუდვა იმოქმედებს, ევროკავშირის ბაზარზე გასვლისას საბაჟო ტარიფისგან გათავისუფლდება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ასოცირების შეთანხმების ნაწილია, ითვალისწინებს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

უცხოელებზე მიწის გაყიდვაზე გამოცხადებული აკრძალვა სასამართლომ გააუქმა

საკონსტიტუციო სასამართლომ უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის სასოფლო—სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენაზე დაწესებული დროებითი აკრძალვა გააუქმა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ იურისტის გია გვილავას განცხადებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ტიპის აკრძალვა არაკონსტიტუციურია.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენაზე გამოცხადებული დროებითი მორატორიუმი არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2013 წლის სექტემბერში გაასაჩივრა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება ... გამოიტანა.

„სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი იყო ის, რომ ასეთი ტიპის შეზღუდვა არის არაკონსტიტუციური და ეწინააღმდეგება საქართველოს კონმსტიტუციის 21-ე მუხლს. ასეთი ტიპის შეზღუდვა ადრეც დაწესდა, სასამართლომ მაშინაც განაცხადა, რომ ეს შეზღუდვა არაკონსტიტუციური იყო და გააუქმა, შემდეგ პარლამენტმა ისევ დააწესა შეზღუდვა. რა ხანგრძლივობისაც უნდა იყო, ასეთი შეზღუდვა უნდა იქნას გაუქმებული. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის ხოლმე მისი გამოცხადებიდან, ან გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან. ამ შემთხვევაში ალბათ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან შევა ძალაში, თუმცა ასეც რომ არ იყოს 2 დღეში გამოქვეყნდება გადაწყვეტილება. ასე რომ, მორატორიუმი გაუქმებულია და შესაძლებელია მიწების დარეგისტრირება“, - განაცხადა გია გვილავამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების დაკანონებზე დაწესებული მორატორიუმის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ იზიარებს.

ფიფია მიიჩნევს, რომ მორატორიუმი საჭირო იყო.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, მზადდება რეგულაციები, რომელთა გათვალისწინებითაც ინვესტორებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გადაეცემათ.

“მორატორიუმი ერთმნიშვნელოვნად საჭირო იყო. მიწა განსხვავებული ტიპის რესურსია. ის არის ამოწურვადი რესურსი, რომელიც აუცილებელია, სწორად და მაქსიმალურად ეფექტურად იყოს განკარგული. რამდენიმე სამინისტრო მუშაობს, რომ მიღებულ იქნას შესაბამისი რეგულაციები იმასათვის, რომ მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს მიწის რესურსის განკარგვა და არ მივიღოთ ვითარება, რომ არაეფექტურად იყოს მიწის ნაკვეთები გაცემული”, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ, ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერის სარჩელის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენაზე საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 31 დეკემბრამდე გამოცხადებული მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან გაუქმებულია ნორმები, რომლებიც უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შეძენას კრძალავს.

საქართველოში, 2012 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა არ ჰქონდათ, მიწის ყიდვა არ შეეძლოთ. 2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ყველა შეზღუდვა უცხოელებზე საქართველოს მიწის გაყიდვის შესახებ, რის შემდეგაც უცხოელებზე ასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი გასხვისდა.

2013 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა „სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შეიტანა, რომელიც 2013 წლის 19 ივლისიდან ამოქმედდა. ცვლილებების თანახმად, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწას ვერ შეიძენდნენ (ვერც მემკვიდრეობით მიიღებდნენ) უცხოელი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი და უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ეს უფლება აღნიშნულ პირებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე ჩამოერთვათ.

აღნიშნულ ცვლილებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გამოეხმაურა. ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება უცხოელებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში აყენებდა და დისკრიმინაციული იყო. ასევე, ახლადშემოღებული შეზღუდვები საკუთრების კონსტიტუციურ უფლებებს არღვევდა და შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეეფერხებინა.

„ბასიანის ბრძოლა“- შეხვედრა წარსულთან



19 ივნისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონმა“ სპექტაკლი „ბასიანის ბრძოლა“ წარმოადგინა. მასში ახალგაზრდა დამწყები მსახიობები მონაწილეობდნენ და აცოცხლებდნენ საქართველოს ოქროს ხანას.

მეფე თამარი, დავით სოსლანი, რუმის სულთანი რუქნადინი, ეს ის ისტორიული პერსონაჟები არიან, ვისი წარსულის წიაღიდან გამოხმობაც მსახიობებმა წარმატებით მოახერხეს. ბასიანის ბრძოლა წარმატებული ფურცელია საქართველოს ისტორიაში, ამ ომმა ხომ კიდევ უფრო გაამტკიცა საქართველოს ჰეგემონობა ახლო აღმოსავლეთში.

სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევდა ლადო ასათიანისა და ანა კალანდაძის ლექსი „ბასიანის ბრძოლა“, რომელსაც მხატვრულად კითხულობდნენ ნორჩი მსახიობები და ბასიანის ველის ლაბირინთებში სიტყვებით ამოგზაურებდნენ დამსწრე საზოგადოებას. მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა ბავშვები, რომელთა მიერ განსახიერებული როლებით გადმოცემული პატრიოტული სულისკვეთება გადამდები აღმოჩნდა დარბაზისთვის. სპექტაკლს შთამბეჭდავს ხდიდა მუსიკა, რომელიც საბრძოლო ჟინით აღავსებდა ნორჩ მსახიობებს, წარსულთან შეხვედრის ასოციაციას კი ის სლაიდები ქმნიდა, სადაც ისტორიული კადრები ცოცხლდებოდა.

სპექტაკლის დასასრულს სცენაზე მოინვიეს ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“ სამხატვრო ხელმძღვანელი ცარო მარტიაშვილი, მას მადლობა გადაუხადა კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ნინო ბახუტაშვილმა იმ სიამოვნებისთვის, რომელიც მაყურებელს მიანიჭა ამ სპექტაკლმა.

ცარო მარტიაშვილი (რეჟისორი): „ძალიან დიდი შრომა ჩაიდო ამ ყველაფერში, სხვა ვარიანტებიც განვიხილეთ, თუმცა საბოლოოდ ლადო ასათიანისა და ანა კალანდაძის „ბასიანის ბრძოლაზე“ შევჩერდით. ოქტომბრიდან დავიწყეთ ამ სპექტაკლზე მუშაობა. მეტყველების დახვეწაზე ძალიან დიდი მუშაობა დაგვჭირდა, ამან ბევრი დრო წაიღო. საბოლოო ჯამში როგორი გამოვიდა, ვერ გეტყვით, თუმცა მაყურებელი აღფრთოვანებული ჩანდა.“

ნანა ხურითი (მსახიობი, ხელოვნებათმცოდნე, კულტურის სამინისტროს ღონისძიებების მთავარი სპეციალისტი): „გვახსოვს, ყველა რეგიონში გახსნილი იყო სახალხო თეატრები და ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევდა შემოქმედებითად დახარჯულიყვნენ და საკუთარი თავი გამოევლინათ. ძალიან კარგია, რომ ამჯერად „ბერიკონი“ აღდგა, ახალგაზრდული თეატრი, რომელიც გააგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელიც დედოფლისწყაროს ჰქონდა. ეს ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი რამაა და მოხარული ვარ, რომ სტუმრად ვიმყოფები. გაცილებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქ ბავშვები არიან ჩართულები. აქედან დაიწყება იმ დიდი საქმის კეთება, რასაც თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია ჰქვია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ვხედავდით, როგორ გაფაციცებით უსმენდა მაყურებელი თითოეულ ფრაზას და აქედან ჩანს, რომ რეგიონებში მაყურებელი თეატრს მოკლებულია. სწორედ ამიტომ, მე დედოფლისწყაროელ მაყურებელს დავპირდი, რომ აუცილებლად ჩამოვალთ და ორ სპექტაკლს ვითამაშებთ დედოფლისწყაროში“.

თორღვა ნაროზაული: „დაახლოებით ერთი წელია, აქ ვმოღვაწეობ და ჩემი როლი იმითაცაა საინტერესო, რომ ის ყველაფერი გადმოსცა, რაც ჩემი აზრით ბევრმა არ იცოდა. სპექტაკლით ჩემი თანატოლები და არა მარტო, გაიგებენ, თუ რა იყო ბასიანის ბრძოლა და ვინ იყვნენ მისი მოქმედი გმირები. მოზარდებს მისცემს იმის ბიძგს და სტიმულს, რომ გაჰყვნენ თეატრს და იყვნენ ისეთები, როგორსაც ვცდილობთ, რომ ჩვენ ვიყოთ“.



თათია ცისკარაული: „ძალიან საინტერესო დღე გამოვიდა, ბავშვობიდან ყოველთვის მსახიობობაზე ვოცნებობდი და ახალგაზრდულმა თეატრმა ძალიან ბევრი მომცა, ეს არის ჩემთვის მომავალი მსახიობობისთვის საფუძვლის შექმნის პროცესი. საინტერესო დღე გამოვიდა, შევაფასებდი, რომ ეს ჩემთვის საუკეთესო დასაწისია. მინდა, რომ ასევე აქტიურად გავაგრძელო და ბევრს მივაღწიო“.

ახალგაზრდული თეატრი დროებით დაემშვიდობა მაყურებელს. თეატრალურ სეზონს „ბერიკონი“ განახლებული სახეებით და ახალი სპექტაკლით დაუბრუნდება.

ინგა შიოლაშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა

(პირველი გვერდიდან)

მიმართა და მათ ევროპასთან დაახლოების შესაძლებლობა შესთავაზა.

"ჩემო თანამემამულენო, ჩვენ ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ! თქვენ, დღეიდან, ჩვენთან ერთად, ამ პროცესის თანაზიარი ხართ! თქვენ გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რაც ევროპასთან დაახლოებას მოაქვს,"-აღნიშნა პრემიერმა.

მანვე ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში დაწყებულ ახალი ეტაპზე და განაცხადა, რომ ასოცირების შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას ქვეყანაში ეტაპობრივად დანერგოს ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტები.

ირაკლი ღარიბაშვილმა გულწრფელად მიულოცა უკრაინელ და მოლდოველ ხალხებს ასოცირების შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან და მათ წარმატება უსურვა.

"ვფიქრობ, სიმბოლურია, რომ სამივე ქვეყანა ერთ დღეს ვაწერთ ხელს ამ უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებას, რომელიც არა მარტო ევროკავშირთან დაგვაახლოვებს, არამედ რეგიონში დემოკრატიის გაძლიერებასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს,"- განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტის ჰერმან ვან რომპუის განმარტებით, ევროკავშირის საბოლოო მიზანი საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის სრულფასოვანი გაწევრიანება და მათი ევროპულ ოჯახში დამკვიდრებაა.

"ევროკავშირი თქვენ გვერდით დგას, გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, სოლიდარობა, ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. უფრო ძლიერი კავშირები დააკავშირებს ჩვენს ქვეყნებს და სრულიად ევროპულ კონტინენტს განვითარებას მოუტანს და სტიმულს მისცემს,"-განაცხადა ჰერმან ვან რომპუიმ.

თავის მხრივ, ისტორიული დღე უწოდა 27 ივნისის თარიღს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ.

"დღევანდელი დღე არის სტრატეგიული მიზნის დასაწყისი, რომ ეს ქვეყნები გახდნენ ინტეგრირებული პოლიტიკურად და ეკონომიკურად ევროკავშირთან. სირთულეების მიუხედავად, ვაპირებთ შეთანხმების ხელმოწერას უკრაინასთან, მოლდოვასთან და საქართველოსთან. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ამ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ კანონის უზენაესობის, რეფორმებისა და ღია საზოგადოების კონსოლიდირება, არამედ მთელი ევრიპისთვისაც", - აღნიშნა ბაროზომ.

შეფასებები

მარგველაშვილი: ასოცირების შეთანხმება კეთილდღეობას მოუტანს საქართველოს

ჩვენ გამოვიყენებთ სარგებელს და რეფორმებს, როგორც ინსტრუმენტს, რაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაქვს - განაცხადა დღეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომელმაც ბათუმში მიმართა თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის მონაწილეებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ასოცირების შეთანხმება საქართველოს და მის მოქალაქეებს კეთილდღეობას მოუტანს, დემოკრატიულ ინსტიტუტებს გააძლიერებს და უფრო პასუხისმგებლიან და საჭიროებებზე ორიენტირებულ მთავრობას შექმნის. გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა ევროკავშირის წევრობისკენ გადადგმული ახალი ნაბიჯია.

შტეფან ფულე - დიდებული დღეა საქართველოსთვის

გაფართოება და ასოცირების შესახებ შეთანხმება ორი სხვადასხვა კალათაა, - ამის შესახებ გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა, შტეფან ფულემ ბრიუსელში, ქართული მედიის კითხვაზე კომენტირებისას განაცხადა, რომელიც დაინტერესდა, როდის დაიწყება ევროკავშირის გაფართოებაზე საუბარი.

"მე ვარ ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში. ეს, შეიძლება ითქვას, ორი სხვადასხვა კალათაა. ერთიდან მეორეში გადასასვლელად გრძელი გზაა გასავლელი. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, ეს გზა საკმაოდ კარგად დაიწყეთ", - აღნიშნა შტეფან ფულემ.

რაც შეეხება უშუალოდ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, ევროკომისრის შეფასებით, აღნიშნული შეთანხმება უპრეცენდენტოა და საქართველოს, უკრაინის და და მოლდოვას მიერ თავისუფალი, სუვერენული ნების გამოხატვას წარმოადგენს. "დღეს დიდებული დღეა საქართველოსთვის, მოლდოვასთვის, უკრაინისთვის და რა თქმა უნდა, ევროკავშირისთვისაც", - აღნიშნა ევროკომისარმა.

ევროპა ის სამყარო იყო, „რკინის ფარდის" მიღმა რომ არსებობდა...

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომლის წარმოსახვაში ევროპა ის სამყარო იყო, „რკინის ფარდის" მიღმა რომ არსებობდა და წაუბილწავი ჰაერით სუნთქავდა. წარმოსახვაში იმიტომ, რომ ევროპელი მოაზროვნეების თუ მწერლების, რეჟისორებისა თუ მხატვრების სულის ამონასუნთქი ჩვენამდე მხოლოდ მიუწვდომლობის თალხით შეფერილი, თან მავანის იდეოლოგიური სიმახინჯით შეფუთული ან აღწევდა ან ვერ.

განცდა იმისა, რომ უარყოფილი, რუსეთის „ინტერნატს" მიბარებულები შვილი ვიყავით, რომელსაც შაბათ-კვირასაც კი არ ნახულობდნენ, არ გვტოვებდა. ჩვენ კი „ობლებს", (უფრო ადრეც ვახტანგ მეფისა და სულხან-საბას ტკივილებსაც გავიხსენებ), თვალი სულ იქით გვეჭირა. აი, ერთხელაც გავახსენდები, იგრძნობს ღრმად ჩამარხულ სიყვარულს და მაღიარებს და ოჯახშიც კი მიმიღებსო. ეს იმ ფონზე, თავადაც „ინტერნატში" თავშეფარებულ „უფროს ძმას" მოძალადე იდეოლოგიის სიმახინჯის გარდა, ჩვენთვის მათრახი, ტყვია, და სამხედრო ნიჩბებით მკვდარი ახალგაზრდა გოგონებისა და ვაჟების სისხლის სუნი და გვამებიც არ მოუკვლია.

წამოვიზარდეთ.... თავად გავიხსენეთ ჩვენი წარმომავლობა და ევროპასაც გავახსენეთ, რომ ვარსებობთ და დასავლეთში დაბადებული ქრისტიანული კულტურის „გენეტიკა" ჯერ კიდევ რუსეთის გაქრისტიანებამდე ქმნიდა და ახლაც ქმნის ჩვენს სხეულსაც და ღირებულებებსაც. იქით შევთავაზეთ ხელი და გული, გავახსენეთ ჩვენი არსებობა. მიგვიღო...

ღმერთმა ქნას და კიდევ ჩვენმა ძალისხმევამ, რომ რუსულ „ინტერნატში" ფიზიკური გადარჩენისთვის ათვისებული მძიმე ჩვევებისგან ჩვენი შვილების თაობა მაინც გათავისუფლებულიყოს და ევროპელებსა და ჩვენ ლაღად, როგორც სწორი სწორს, ისე გაგვეღიმოს ერთმანეთისთვის.

დღევანდელ დღეს გილოცავთ!..

ლელა ფირალიშვილი, **კულტუროლოგი**

„საქართველო ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში"...

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერამდე თბილისში გაიმართა ევროკავშირ-საქართველოს საინვესტიციო კონფერენცია. „საქართველო ლიდერია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში", -განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ თბილისში მიმდინარე ევროკავშირ-საქართველოს საინვესტიციო კონფერენციაზე, თუმცა, მისივე თქმით, საქართველოს მეტის გაკეთება მართებს. საინვესტიციო კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის, ევროკომისიისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები. კონფერენციაზე საუბარი შეეხებოდა ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივებს. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს 80 მილიონი ევროს ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტს. ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხიდან 8 მილიონი ევრო საქართველოში წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად დაიხარჯება და 200 ათასამდე მოქალაქისთვის წყლის უწყვეტად მიწოდებას უზრუნველყოფს. კონფერენციის შემდეგ ბაროზომ და ღარიბაშვილმა ერთობლივი პრესკონფერენციაც გამართეს.

ევროკომისიის პრეზიდენმა ჟოზე მანუელ ბაროზომ საქართველოში თავისი ვიზიტის მეორე დღეს, სასტუმრო „რედისონში" მიმდინარე საქართველო-ევროკავშირის საინვესტიციო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, განაცხადა, რომ ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობის ამოცანაა თავად საქართველოს ხალხის ამბიციების დაკმაყოფილება, ვინაიდან ქვეყანა ახორციელებს დემოკრატიულ რეფორმებს და ახდენს მოდერნიზებას იმიტომ, რომ აწუხებს საკუთარი ბედი, და რომ არ ყოფილიყო ასოცირების ხელშეკრულების ამოცანა დემოკრატიული რეფორმები, ქვეყნის მოდერნიზაცია, ის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ცალკე აღებულიც, როგორც წვლილი იმ პროგრესში, რომელიც საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე უნდა აისახოს. ჟოზე მანუელ ბაროზოს თქმით, ევროპული არჩევანის თავს მოხვევა შეუძლებელია.

თავის მხრივ, სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა რომ, ასოცირების შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას ქვეყანაში ეტაპობრივად დანერგოს უმაღლესი დონის ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტები. ეს განაპირობებს საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების უპირობო გარანტიებსა და დაცვას. ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებსაც მიმართა და განაცხადა, რომ ყველა სიკეთით, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოჰყვება, მათაც თანაბრად შეუძლიათ ისარგებლონ:

„ასოცირების პროცესი მთელ საქართველოს მოიცავს, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებს. ამიტომ მინდა აქედან მივმართო ჩვენს ძმებს - აფხაზებს და ოსებს: თქვენ, თითოეულ ჩვენგანთან ერთად, სრულად ხართ ამ პროცესის თანაზიარი და თანამონაწილე. მე მჯერა, რომ თქვენ ისარგებლებთ ყველა ამ სიკეთით - იქნება ეს ევროკავშირთან ბიზნესის კეთება, უვიზო რეჟიმი, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა თუ სხვა. და, ბოლოს, რა თქმა უნდა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა არ არის პროცესის დასასრული, ეს არის მხოლოდ დასაწყისი ევროპისკენ მიმავალი რთული და გამოწვევებით აღსავსე გზისა".

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ევროკავშირ-საქართველოს საინვესტიციო კონფერენციაზე ხელი მოეწერა 80 მილიონი ევროს ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტს, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისთვის:

„ევრობანკი აპირებს სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას, იმისათვის რომ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად საქართველოს კომპანიების მიერ გასაწევი სამუშაოები სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტით დაფინანსდეს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ხელი ეწერება შეთანხმებას წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის 8 მილიონი ევროს ფარგლებში. ამას გარდა, მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის გათვალისწინებულია 46 მილიონი ევრო და, ასევე, სავაჭრო შეთანხმებით გათვალისწინებული სტანდარტების მიღწევისათვის სპეციალური დახმარება - 51 მილიონი ევრო".

უკვე პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ილაპარაკა იმ ეკონომიკურ სიკეთეებზე, რომელთაც საქართველო-ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ითვალისწინებს. ამასთან, განაცხადა, რომ ეს არ არის ტიპიური ხელშეკრულება პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს შორის, ეს არის დახმარება ხალხისათვის. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ასევე გაზის კორიდორის განვითარება საქართველოში - საქართველო უნდა გახდეს ენერგოუსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე და ეს შედის სამომავლო დღის წესრიგში.

ბაროზომ უპასუხა შეკითხვას, თუ როგორ უყურებს ის საქართველოს პერსპექტივას იმ თვალსაზრისით, თუ მას ხელი ექნება მოწერილი ევროკავშთან ასოცირების თაობაზე და, იმავდროულად, იქნება სხვა ქვეყნების, მათ შორის, რუსეთის სავაჭრო პარტნიორი:

„მიდის გარკვეული პროპაგანდა იმის დასამტკიცებლად, თითქოს ჩვენი შეთანხმება ვინმეს წინააღმდეგ არის მიმართული. ეს ასე არ არის. ჩვენი შეთანხმება არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ის გამიზნულია სხვა რამისთვის- თავისუფალი ვაჭრობისთვის. ჩვენ ვაჭრობაში არ ვხედავთ პოლიტიკას, ვაჭრობას განვიხილავთ, როგორც უფრო მეტ შესაძლებლობას ზრდისთვის, მეტი სამუშაო ადგილისთვის. ჩვენთვის ვაჭრობა არის მოგება მოგებისთვის. რაც უფრო მეტად განვითარდება საქართველო, ექნება ნვდომა უფრო მეტ ბაზარზე, ეს ჩვენთვისაც უკეთესია, იმიტომ რომ ჩვენც ვისარგებლებთ ამ კეთილდღეობით, ისევე როგორც სხვა, მესამე მხარე. ამის გააზრება მნიშვნელოვანია, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც ვაჭრობას განიხილავენ როგორც კონფლიქტს: თუ ხართ ერთთან, ესე იგი ხართ სხვის წინააღმდეგ. ეს ასე სულაც არ არის, ეს ჩვენი ხედვა არ არის".

ჟოზე მანუელ ბაროზოს პასუხი მოიშველია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, და თავის მხრივ დასძინა, რომ ხიფათი, რომელიც შეიძლება რუსეთის მხრიდან მოდიოდეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, უნდა შეფასდეს ეტაპობრივად:

„საფრთხეების შეფასება უნდა მოხდეს მანამდეც და შემდეგაც. მე მირჩევნია დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, წინ არ უნდა გავუსწროთ. ჩვენ არ გვსურს გავაჩინოთ მოლოდინი საზოგადოებაში კარგის ან ცუდის, ამიტომ მირჩევნია, რომ სიტუაციის განვითარების შესაბამისად მოვახდინოთ რეაგირება".

მანამდე კი საქართველო-ევროკავშირის საინვესტიციო კონფერენციაზე ჟოზე მანუელ ბაროზომ მოუნოდა რუსეთს გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები და ნეგატიურ ზომებს არ მიმართოს მომავალი ხელმოწერის პროცედურასა და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით - იქნება ეს საქართველოს თუ ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან მიმართებით. ამას არავითარი მიზეზი და გამართლება არ ექნება. ბაროზომ განმარტა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის მთელი რეგიონისთვისაა ხელსაყრელი.

ოზაანში კიდევ ერთი თაობა დაემშვიდობა საბავშვო ბაღს

წელს თორმეტ აღსაზრდელს დაულოცეს სკოლისკენ მიმავალი გზა ოზაანის საბავშვო ბაღის პედაგოგებმა. ზეიმმა განსაკუთრებული ემოციებით და სადღესასწაულო განწყობით ჩაიარა, ეს გახლდათ გამორჩეული ღონისძიება, რომელიც პარალელურად ღია გაკვეთილის ფონზე წარიმართა, აღმზრდელმა დარეჯან კვინიკაძემ და თანაშემწემ სოფიო ნადირაშვილმა გადაწყვიტეს, ეს დღე დაუვიწყარი ყოფილიყო მათი აღზრდილებისთვის. ასეც მოხდა, ბავშვებს და მათ პედაგოგს სურვილი ჰქონდათ, რომ ბაღში შეძენილი ცოდნა მოწვეული სტუმრებისთვისაც ეჩვენებინათ. დარეჯან მასწავლებლის კითხვებზე თითოეული აღსაზრდელი გამართულად და სრულყოფილად პასუხობდა. პედაგოგისა და ბავშვების ცოდნა-განათლების პრეზენტაციას კი, მთელი ღონისძიების მანძილზე თან სდევდა სიმღერები, რაც მთელ მსვლელობას საზეიმო ხასიათს აძლევდა. ცეკვას სიმღერა მოსდევდა, სიმღერას ლექსი, ჩოხა-ახალუხში და ლამაზ კაბაში გამოწყობილმა ჯაბა ოზაშვილმა და თეკლა მეხრიშვილმა ნარნარით შემოუარეს დარბაზს და შეასრულეს ცეკვა „ქართული", ნინო და ანა ოზაშვილებმა და ნინო ცქიტიშვილმა კი, „სამაია" იცეკვეს. ყველა ბიჭი ცეკვავდა „ბაღდადურს", გოგონებმა კი ბოშური ტანისამოსი მოირგეს და მშვენივრად იცეკვეს. სანდრო მოსულიშვილმა აღმაშენებელს მიუძღვნა ლექსი, თამარ პაპუაშვილი და ელენე თვაური კი „დედა ენას" მოეფერნენ, აჩიკო და ნიკა გარსენიშვილებმა შაირები იმღერეს, ჯაბა ოზაშვილმა წმინდა ნინოს მიუძღვნა ლექსი, ნინო ოზაშვილმა კი ფანდურის თანხლებით შეასრულა სიმღერა „საქართველოზე".

ანა და თეონა ოზაშვილები, ნინო ცქიტიშვილი, ლუკა პაპუაშვილი ერთმანეთს ეცილებოდნენ ლექსების თქმაში, თეკლა მეხრიშვილმა დედის თანხლებით იმღერა სიმღერა „საქართველოზე". ბოლოს აღმზრდელებმა თავის აღზრდილებს გადასცეს მათი დახასიათება-შეფასება, ამით მშობლებს გააცნეს, თუ როგორ დონეზე მოემზადნენ მათი შვილები სკოლისათვის. აქვე გახლდათ მოწვეული პატარების მომავალი პირველი მასწავლებელი სკოლაში პედაგოგი თამარ ოზაშვილი, იგი მიესალმა ბავშვებს და აღუთქვა, რომ დიდი სიხარულით დაელოდება მათ სკოლაში.

ბავშვებს გზა დაულოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ოზაანის ბაგა-ბაღის დირექტორმა ლია სუხიტაშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში ენერგიულად უძღვება საქმეს.

ზეიმს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე ირმა ჯანაშვილი, სპეციალისტი ნინო კვიწინაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებული სოფელ ოზაანში გელა ოზაშვილი.

ბავშვებს საზეიმოდ მორთვაში ეხმარებოდა მათი ძიძა ქეთინო ბაგალიშვილი, ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ბაღის მუსიკის პედაგოგი მადონა ცქიტიშვილი.

ღონისძიება პატარების სიმღერით „გზა დაგვილოცე" და მათ მიერ შესრულებული „ვალსის" ცეკვით დასრულდა.

ლალი მეხრიშვილი

„სანდა"

23 ივნისს ქალაქ ლაგოდეხში ჩატარდა შეჯიბრი კახეთის პირველობა „კუნგ-ფუ" „სანდაში". შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღეს, როგორც კახეთის ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სპორტსმენებმა. საკმაოდ დაძაბული ბრძოლები გაიმართა. „ზაქების" გუნდის სპორტსმენებმა ერთიმეორეზე საუკეთესო ბრძოლები ჩაატარეს და შედეგიც საუკეთესო აჩვენეს, ხუთი პირველი ადგილი მოიპოვეს „ზაქებმა". ესენი არიან:

1. გიორგი ნატროშვილი
2. გიგა ნატროშვილი
3. ტატო ნატროშვილი
4. გიორგი ჯანაშვილი
5. გიორგი ტოკლიკიშვილი

გუნდს ამზადებს კახეთის „კუნგ-ფუ" „სანდას" გენერალური მდივანი გენადი ნატროშვილი და მწვრთნელი გიორგი ფიროსმანაშვილი.

ხრიდოლი

ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლმა ქალაქ თბილისში ჩაატარა საქართველოს პირველობა ქართულ საბრძოლო სამჭიდში, სადაც შედის ქართული ჭიდაობა, რკენა, ქართული კრივი. ამ დიდ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო „ზაქებიდან" სანდრო ნატროშვილმა და გახდა საქართველოს ჩემპიონი. „ზაქებს" ხრიდოლის ფედერაციასთან ფართო თანამშრომლობა აქვს. ყოველი შეჯიბრიდან საუკეთესო შედეგებით ბრუნდებიან. ხრიდოლის ფედერაცია დიდი ფედერაციაა. ამ დიდ ფართომასშტაბიანი შეჯიბრიდან „ზაქები" ყოველთვის საუკეთესო შედეგებით ბრუნდებიან. როგორც პირველი ასევე საპრიზო ადგილების გარეშე არ დაბრუნებულან.

„ხრიდოლის" ფედერაციაში 1000-მდე მოზარდი და უფროსი ასაკის სპორტსმენია.

ამ დიდ შეჯიბრში „ზაქებიდან" ფინანსების უქონლობის გამო ერთი სპორტსმენის გარდა ვერავინ მიიღო მონაწილეობა. გუნდს ავარჯიშებს „ზაქების" დამფუძნებელი გენადი ნატროშვილი და მწვრთნელი გიორგი ფიროსმანაშვილი.

მუსიკალური სკოლის კონცერტი

როდესაც დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის მუსიკალურ ღონისძიებას ვესწრები, მუდმივად მიჭირს მასალის წერა, მიჭირს, რადგან, არასდროს არ მყოფნის ქართულ სიტყვათა მარაგი იმ ემოციის გადმოსაცემად, რასაც მათ კონცერტებზე დასწრებისას ვიღებ. ძნელია ფურცელზე გადმოსცე ის ბგერები, მელოდიები, ტონალობა, ფორტე, მეცოფორტე თუ პიანო, რასაც კლასიკური მუსიკის კონცერტზე ვისმენთ. ეს უბრალოდ უნდა ნახო და განიცადო. ერთადერთს აღვნიშნავ, პირადად ძალიან ვაფასებ ამ სკოლის თითოეულ თანამშრომელს, ვაფასებ მათ პროფესიონალიზმს, მათ თავდადებას და თითოეულ მოსწავლეში ჩადებულ შრომას. მინდა, თამამად ვთქვა და ვიამაყო, რომ ჩვენს რაიონს მათი სახით უძლიერესი მუსიკალური პედკოლექტივი ჰყავს. მე არ მეგონა, თუ აქ, ჩვენი რაიონის პატარა დარბაზში აჟღერდებოდა ვივალდის და მარჩელოს ყველაზე ლამაზი და ურთულესი ნაწარმოებები, არ მგონია, თუ სადმე ასე უნაზესად მღერის რომელიმე გოგონათა გუნდი, როგორც ამღერებს ანსამბლს პედაგოგი მარიკა პირზადოვა და ყველაზე დიდი საოცრება, რითაც გული სიამაყით მევსება, ჩვენს რაიონს ჰყავს საკუთარი კომპოზიტორი ირაკლი კიკილაშვილის სახით, რომლის ნაწარმოებების მოსმენა სხვა არაფერია, თუ არა ქიზიყური სისხლის ამოყივლება, ჩვენი მეობის ძარღვიანი ბგერებით გადმოცემა.

-„დღეს ღონისძიება მეექვსე კლასელებს გვხვდა წილად, ჩვენთვის წლევანდელი წელი დატვირთული იყო ღონისძიებებით, კონცერტებით, სპექტაკლებით, სადაც ჩვენ და ჩვენი მეგობრები აქტიურად ვიღებდით მონაწილეობას. იყო საგაზაფხულო კონცერტი, „იოჰან სებასტიან ბახის საღამო, მუსიკალური სპექტაკლი „მუსიკის ძალა", მალვინა ისმაილოვას სოლო კონცერტი და შეუძლებელი იყო ამ აკადემიურ კონცერტში ჩაგვესვა წლის ღონისძიებათა ყველა საუკეთესო ნომერი, ამიტომ დღეს გთავაზობთ მხოლოდ იმ ნაწილს, რომლებიც ჩვენს წინა კონცერტზე უმეტეს წილად არ შესრულებულა,"-აღნიშნა კონცერტის დასაწყისში წამყვანმა ნათია თავაძემ.

მოსწავლე კატო გვენეტაძის მიერ შესრულდა ირაკლი კიკილაშვილის „ადვილი ვალსი", პედაგოგი თამარ კიკილაშვილი, მერაბიშვილის „საღამო" შეასრულა მოსწავლე ქეთი გივიშვილმა, პედაგოგი ირმა ოზაშვილი; კომაროვსკის ეტიუდი შეასრულა ანა ჩუთლაშვილმა, პედაგოგი თამარ კიკილაშვილი, კონცერტმეისტერი თამილა ნადირაშვილი; ჩაიკოვსკის ვალსი დაუკრა მოსწავლე მარიამ სამუკაშვილმა, პედაგოგი ლია ხაჩიაშვილი, კაჟლაევი, -„არღანი" შეასრულა მოსწავლე თამარ ჯეთერიშვილმა, პედაგოგი ნინო ლაპიაშვილი; მერაბიშვილის „ლირიკული ცეკვა " კი ააჟღერა მოსწავლე აბრაამ ახალაურმა, პედაგოგი ნინო ნიკვაშვილი. ირაკლი კიკილაშვილის „საღამო" და „გლეხის ქალი ბავშვებით" შეასრულეს თამარ პაპაჩაშვილმა(პედაგოგი მანანა რამაზანაშვილი) და ვიოლინოს თანხლებით მალვინა ისმაილოვამ, პედაგოგი (ნინო ლაპიაშვილი)

მოხიბლული დავრჩი გუნდური სიმღერებით, რომელიც პედაგოგის მარიკა პირზადოვას დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. გუნდში თითქმის ყველა კლასის მოსწავლე იყო გაერთიანებული, თუმცა გამორჩეული გახლდათ გუნდის სოლისტის ნინო გონაშვილის ხმა. გუნდის მიერ შესრულდა შოთა მილორავას „ჭრელო პეპელა", „მზე შინა" , „მღერიან თუშის ბიჭები", მეგრული ხალხური სიმღერა „მაინც მიყვარხარ", რომლებიც ძალიან კარგი მოსასმენი გახლდათ.

განსაკუთრებით მოიხიბლა დარბაზში მჯდომი მაყურებელი ვივალდის- კონცერტით, რომელიც მალვინა ისმაილოვამ პედაგოგის თამარ კიკილაშვილის და კონცერტმეისტერ თამილა ნადირაშვილის თანხლებით შეასრულა. დიდი ოვაციები მოჰყვა ტურიაშვილის „ანდატე მაესტოზოს", რომელიც ანასტასია ყოჩიაშვილმა შეასრულა, პედაგოგი ნინო ალადაშვილი, სასიამოვნო ბგერებით გაჟღერდა მარჩელოს ბახი ისევ მალვინა ისმაილოვას მიერ, ასეთივე ოვაციები მოჰყვა მარიამ ლაპიაშვილის მიერ გლიერის პრელუდიას, პედაგოგი მარიამ კიკილაშვილი და ირაკლი კიკილაშვილის „გლეხის ქალი ბავშვებით", რომელიც ასევე მალვინა ისმაილოვამ და ანასტასია ყოჩიაშვილმა შეასრულეს.

უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი სასწავლო წელი ბევრად ნაყოფიერი, საინტერესო და ღონისძიებებითა თუ კონცერტებით ბევრად დატვირთული გახლდათ ხელოვნების სკოლისთვის, ვიდრე დანარჩენი წინა წლები. მათ არაერთი შემოქმედებითი საღამო მიუძღვნეს, გაანებივრეს ჩვენი რაიონის მაყურებელი, რამაც დედოფლისწყაროს კულტურულ გამოცოცხლებას შეუწყო ხელი. აღნიშნული კონცერტი გახლდათ შემაჯამებელი კონცერტი მთელი მათ მიერ განეული შრომის და ნაღვაწის, რასაც უდაოა მაყურებელიც დაუფასებთ. ამის შემდეგ ხელოვნების სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები საზაფხულო არდადეგების გამო დროებით დაემშვიდობნენ მსმენელს.

ლალი მეხრიშვილი

სულით ქართველი

სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზი გადაჭედილია, ბუზის გაფრენის ხმა ისმის. სიჩუმეს მქუხარე აპლოდისმენტები და აღტაცებული შეძახილები მოსდევს. ეს ოვაცია სცენაზე- როიალთან მჯდომ პატარა, შავტუხა გოგოს ეძღვნება, რომელსაც ღმერთმა მრავალმხრივი ნიჭი დაანათლა. მალვინა ისმაილოვა სოფელ ხორნაბუჯის მცხოვრები და დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის წარჩინებული მოსწავლე გახლავთ. მან წელს დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის ექვსი კლასი დაამთავრა. კულტურის სამინისტროს ახალმა ინიციატივამ სულზე მოუსწრო, რომლის მიხედვითაც სამინისტრო სამუსიკო სკოლას გაუფორმებს მემორანდუმს გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვებისთვის, ექვსი კალსის დამთავრების შემდეგ, მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასები გახსნან საკუთარი კოლექტივის ბაზაზე კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგების გათვალისწინებით. ასე რომ, მალვინა ისმაილოვა სწავლას სამუსიკო სკოლის მეშვიდე კლასში გააგრძელებს. ის სამინისტროს კრიტერიუმს სრულად აკმაყოფილებს- არის პერსპექტიული, ძალიან მუსიკალური, სცენიური და შრომისმოყვარე. მალვინას სახელი ჩვენი მკითხველისთვის, და მით უმეტეს, მუსიკალური საზოგადოებისთვის, უცხო არ არის. ის პირველი კლასიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით. როგორც თავად ამბობს, სულ პატარა იყო, როდესაც ტელევიზორში მუსიკას ან რომელიმე სიმღერას გაიგონებდა, მაშინვე თავის სათამაშო მიკროფონს წამოავლებდა ხელს, სკამზე შეხტებოდა და სარკის წინ თავდავიწყებით მღეროდა. არც უცხო ხალხის და სტუმრების წინაშე ეკრძალებოდა გამოსვლა. ყოველგვარი თხოვნის და ძალდატანების გარეშე, სიამოვნებით მღეროდა და დეკლამატორობდა. სკოლაში მისვლითანავე მიიპყრო პედაგოგების ყურადღება, თავს არ ზოგავდა მისი პედაგოგი ნინო ლაპიაშვილი-გონაშვილი, რომელმაც თავიდანვე აღმოაჩინა მასში დიდი მუსიკალური პოტენციალი. იზრდებოდა მალვინა და მის ანგარიშზე მრავალი სიგელი და დიპლომი გროვდებოდა, მის გარეშე არ ტარდებოდა სკოლის გამოსაშვები კონცერტები. 2011 წელს კი მუსიკალურ კონკურსში „გზა ხელოვნებისაკენ" მან დაიმსახურა დიპლომი, 2013 წელსაც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „საქართველო ახალი სახელები"-ს მიერ გამართულ კლასიკური მუსიკის კონკურსზე „გზა ხელოვნებისაკენ" მეორე ხარისხის დიპლომთან ერთად მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიეღო საკონცერტო დარბაზ „მუზაში" გამართულ გალა კონცერტზე, სადაც მისი საშემსრულებლო ოსტატობის მიმართ აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ხელოვნების მაღალი დონის შემფასებლები, ამ ყველაფერს ყოველთვის თავლყურს ადევნებდა ჩვენი გაზეთიც და სისტემატურად ბეჭდავდა ინფორმაციებს მალვინა ისმაილოვას წარმატებების შესახებ. არამხოლოდ კონკრეტულად მალვინას, არამედ სამუსიკო სკოლის საქმიანობა ყოველთვის ასახვას პოულობდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მრავალი ნიჭიერი მუსიკოსი გაიზარდა ამ სკოლის კედლებში. (ჯერ მარტო ლადო ათანელიშვილის ხსენება რად ღირს!)

ამ სკოლის პედაგოგთა დიდი ნაწილიც ხომ ამ სკოლის კურსდამთავრებულები არიან. ჩვენ გვახსოვს ამ დარბაზში 1992 წელს ჩატარებული სოლო კონცერტი მეშვიდე კლასის მოსწავლის თამარ ზურიკაშვილის შესრულებით, შემდეგ ანი პოპიაშვილის, თამარ ქუმსიაშვილის, იზა ტოკლიკიშვილის შესანიშნავი კონცერტები. ეს უკვე რიგით მეხუთე სოლო კონცერტია, რომელსაც მალვინა ისმაილოვა მართავს მუსიკის თაყვანისმცემლებისა და თავისი გულშემატკივრებისათვის. ეს კონცერტი კიდევ იმით იყო გამორჩეული, რომ ეს კაფანდარა სიცოცხლითა და ენერგიით სავსე 14 წლის გოგონა მაღალი (არ შემრცხვება, თუკი ვიტყვი მისი ვირტუოზული) ოსტატობით უკრავს, როგორც ფორტეპიანოზე, ასევე ვიოლინოზეც. მისი ვიოლინოს პედაგოგი გახლავთ თამარ კიკილაშვილი. და ჟღერს დარბაზში დიდებული ბახის, ბეთხოვენის, ვივალდის, ჩერნის, ჩაიკოვსკის, კომაროვსკის, ობერის და მათ გვერდით ჩვენი თანამემამულე და თანამედროვე ნიჭიერი ხელოვანის ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოებები.

ხან ალაზანივით მოდუდუნებს, ხან მთის წყაროსავით მორაკრაკებს, ხან ქარიშხალივით ბობოქრობს პატარა ვირტუოზის თითებს ქვეშ კლავიატურა, ირხევიან ვიოლონოს სიმები, დარბაზი აღტაცებული უკრავს ტაშს, ლამაზი თაიგულებით იფარება როიალი, ემოციებს ვერ იკაბვებენ მალვინას თანაკლასელები, რომლებმაც კონცერტის დასასრულს მეგობარს დიდი ტორტი მიართვეს და ჰაერში უამრავი საჰაერო ბურთი გაუშვეს. კონცერტი მიჰყავდა პედაგოგ ლია ხაჩიაშვილს. კონცერტმეისტერი გახლდათ სამუსიკო სკოლის მეთოდისტი თამილა ნადირაშვილი, რომელმაც ბევრი იშრომა ამ კონცერტის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ბედნიერები და კმაყოფილები იყვნენ მალვინას აღმზრდელი პედაგოგები ნინო ლაპიაშვილი და თამარ კიკილაშვილი, რომლებმაც მისცეს გზა ფართო მის ნიჭს. ისინი ორივე ამ სკოლის კურსდამთავრებულები არიან და უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენი მომავალი თაობის მუსიკალურ აღზრდას ემსახურებიან,ორივემ მელიტონ ბალანჩივაძის სამუსიკო სკოლა დაამთავრა. ორივეს საუკეთესო ოჯახები აქვთ და ქვეყანას უზრდიან საიმედო მომავლის მქონე შვილებს.

-„ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდისთვის დაგვილოცია გზა, მაგრამ მალვინა სრულად განსხვავებული, მრავალმხრივ ნიჭიერი და შრომისმოყვარე ბავშვია, მას პირველი კლასიდან ვასწავლი და მჯერა, რომ დიდი პერსპექტივა აქვს, ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ თავდაუზოგავ შრომას წარმატებების მოპოვებისთვის, მისი იმედი ნამდვილად გვაქვს. მის წარმატებებში ჩვენთან ერთად დიდ შრომას დებენ მისი მშობლები. ჩვენი სკოლა წარჩინებით დაამთავრა ასევე მისმა დამაც, ელმირა ისმაილოვამაც," -ამბობს ნინო ლაპიაშვილი.

კონცერტზე მალვინამ თავის საყვარელ პედაგოგებთან ერთად რამოდენიმე ნაწარმოები შეასრულა, რამაც დიდი სიამოვნება მიანიჭა მსმენელს.

დასასრულს, სკოლის დირექტორმა მარიამ კიკილაშვილმა გულთბილად მიულოცა მალვინა ისმაილოვას სამუსიკო სკოლის ექვსი კლასის დამთავრება და წარმატებები უსურვა კურსის გაგრძელების პროცესში. მან აქვე მადლობა გადაუხადა პედაგოგებს: ნინო ლაპიაშვილს, თამარ კიკილაშვილს და თამილა ნადირაშვილს იმ დიდი შრომისათის, რაც ამ კონცერტის მომზადებას და მალვინას მაღალი საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწას დასჭირდა. სამივე პედაგოგი დაჯილდოვდა მადლობის ბარათით.

წარმატება მიულოცა პატარა მუსიკოსს კულტურისა და ძეგლთა დაცვის პროფკავშირის თავმჯდომარემ ნელი გობეჯიშვილმა, მან გოგონას საჩუქრად თანხა გადასცა,ხოლო სკოლა დააჯილდოვა ექსკურსიის ორგანიზებით.

კონცერტის შემდგომ მალვინას გავესაუბრეთ: – მუსიკის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია, ჩემი საყვარელი კომპოზიტორია შოპენი, საყვერელი მომღერალი – ლედი გაგა, ვოცნებობ ვოკალისტობაზე და ლედი გაგასთან დუეტის ჩაწერაზე. სასწავლო საგნებიდან გეოგრაფია მიყვარს და მსურს ვიმოგზაურო ამერიკაში, იაპონიაში, იტალიაში. ასტრონომიაც მიყვარს და ძალიან მინდა, მქონდეს ტელესკოპი. ერთი პერიოდი ქირურგობა მინდოდა, მაგრამ ახლა, მხოლოდ მუსიკაზე ვფიქრობ და თეთრ როიალზე ვოცნებობ. სამომავლოდ მინდა, დავეუფლო გიტარის კლასიკურ დაკვრასაც.- გულწრფელად გვითხრა მალვინამ.

მიუხედავად იმისა, რომ მალვინაში ქართული კულტურა გენეტიკურად არ ზის, ის მაინც წარმატებულია ქართული ენის სწავლაში. მან 2010 წელს პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა კონკურსში „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს", ხოლო სასკოლო კალიგრაფიის კონკურსში საპატიო სიგელი მოიპოვა. ამ ყველაფრიდან ლოგიკურად გამომდინარეობს მალვინას პასუხი კითხვაზე:-რა ეროვნების ხარ?- მე მამა აზერბაიჯანელი მყავს, დედა სომეხი, მაგრამ სული მაქვს ქართული.

წარმატებებს გისურვებთ, სულით ქართველო ვირტუოზო.

ნაირა გორაშვილი

ანსამბლი „ხორნაბუჯი" 33 წლისაა...

20 ივნისს ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა ფოლკლორულ ანსმაბლ „ხორნაბუჯი"-ს საანგარიშო კონცერტი (ლოტბარი გიორგი ცერცვაძე). რეპარტუარში შედიოდა როგორც ხალხური, ისე ქალაქური სიმღერები.

ღონისძიებას უძღვებოდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხალხური სიმღერების ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „საპოვნელას" წევრი დავით დვალაძე.

ანსამბლი „ხორნაბუჯი" 1981 წლის სექტემბერში დაარსდა და მისი პირველი ხელმძღვანელი გახლდათ შალვა მენთეშაშვილი. ანსამბლი დაარსების დღიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა ფესტივალებსა თუ ოლიმპიადებზე. მისი ძირითადი ფუნქცია ქართლ-კახური და ქიზიყური სიმღერების აღდგენა და მისი პოპულარიზაცია გახლავთ.

1983 წელს გუნდი მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალის ლაურეატი გახდა და ოქროს მედალი მოიპოვა. 1987 წლიდან გუნდს ხელმძღვანელობდა ლევან თაქთაქიშვილი. მონაწილეობა მიიღეს და იმოგზაურეს ბულგარეთის, კაუნასის და ბაქოს საერთაშორისო ფესტივალებზე. ლევან თაქთაქიშვილის შემდეგ გუნდს სათავეში ჩაუდგა კომპოზიტორი ირაკლი კიკილაშვილი, ხოლო 2013 წლის იანვრიდან დღემდე ანსამბლს ხელმძღვანელობს გიორგი ცერცვაძე.

ანსამბლს ქიზიყური ფოლკლორის მიმართულებით თავისი სული შთაბერა და განსაკუთრებული კვალი დაუტოვა ყველასათვის საყვარელმა კარლო პაპამ(კარლო გოგაშვილმა).

ანსამბლი „ხორნაბუჯი" ერთი წლის წინ გადახალასდა და ორი ახალგაზრდა წევრი დაემატა - ზურაბ პოპიაშვილი და ვალერი ნატროშვილი.

საანგარიშო კონცერტმა აპლოდისმენტების ფონზე, სრული ანშლაგით ჩაიარა.

კონცერტს საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ ფოლკლორულ ანსამბლ „შავნაბადას" ხელმძღვანელი დავით ცინცაძე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მოსწავლეები, პედაგოგები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ელზა ხარაშვილი

ჩვენ პატივს ვცემთ ამომრჩევლის ნებას...

(პირველი გვერდიდან)

და მხოლოდ დავალებებით და ვალდებულების გამო მოხვდნენ საკრებულოში. მათ არანაირი ინიციატივა არ გააჩნიათ საქმის კეთების... ამას დროთა განმავლობაში ვაჩვენებ საზოგადოებას და ყველას დავარწმუნებ, რომ სამსჯელოდ და დისკუსიისთვის კი არ არიან საკრებულოში მოსულები, არამედ კონკრეტული მითითებების შესასრულებლად."

„ქართული ოცნების" დედოფლისწყაროს ორგანიზაცია უარყოფს „ნაციონალური მოძრაობის" ბრალდებებს, თითქოს საოლქო კომისიაში მომხდარი ინციდენტი ხმების გაყალბების მცდელობას უკავშირდება. „ქართული ოცნების" სიის მეხუთე ნომერი დავით ალუღიშვილი ამბობს, რომ მმართველი კოალიციის ინტერესში გაყალბება, ან რაიმე ინციდენტი არ შედიოდა, რადგან იცოდნენ, რომ უბნების უმრავლესობაში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ. ალუღიშვილი ამბობს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მეორე მანდატი მცირე სხვაობით მიიღო და დიდი ალბათობა იყო, ყოფილ ხელისუფლებას მხოლოდ ერთი დეპუტატი გაეყვანა".

დავით ალუღიშვილი: *„დასაწყისში დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროელს, ასეთი დიდი ნდობისთვის, კოალიციას რომ გამოუცხადეს. ვეცდებით, იმედები გაგიმართლოთ. რაც შეეხება გახმაურებულ შემთხვევას, მაშინ, როდესაც საოლქო-საარჩევნო კომისიაში ღამით ინციდენტი მოხდა, უბნების უმრავლესობაში შედეგები დათვლილი და ცნობილი იყო. ვიცოდით, რომ უბნების უმრავლესობაში სრული უპირატესობით გავდიოდით, შესაბამისად, ინციდენტის მოწყობა არც „ქართულ ოცნებას" აწყობდა, არც კომისიებს და არც საზოგადოებას. რა თქმა უნდა, დააშავა და საარჩევნო კოდექსი დაარღვია ბატონმა პეტრე მამულაშვილმა, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია არჩევნების შედეგებზე. შესაძლებელი იყო, ეს ინციდენტი მშვიდობიანად აღმოფხვრილიყო. არ იყო საჭირო ჩხუბი და დავიდარაბა, საჩივარი დაეწერათ და კანონიერი მსვლელობა მიეცემოდა. ოლქმა მას გაფრთხილება მისცა, ეს კი დისციპლინარული სასჯელია და ნუ ვიტყვით იმას, რომ თავმჯდომარე არ დასჯილა. თუმცა, „ნაციონალურ მოძრაობას" შეეძლო საოლქო კომისიის ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინა, მაგრამ არ გააესაჩივრეს. სხვათაშორის, ჩვენ ნამდვილად არ ვართ წინააღმდეგნი, რომელიმე უბანზე განმეორებითი კენჭისყრა ჩატარებულიყო. იმ მარტივი არითმეტიკის გამო, რომ 0,10% მეტი ხმა რომ აგვეღო, ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ ერთ მანდატს აიღებდა. ვფიქრობ, ამ მიზეზის გამო, მათ არ გაასაჩივრეს არცერთი გადაწყვეტილება.*

- მოგეხსენებათ, საკრებულო არის ორგანო, სადაც ძირითადად მსჯელობა და დისკუსია უნდა იმართებოდეს. იმ ფონზე, როცა არ არის სხვა პარტიები წარმოდგენილი, როგორ ფიქრობთ, რამდენად ჯანსაღი პროცესების მოლოდინი შეიძლება გვქონდეს?

- კოალიცია თავად რამდენიმე პარტიისგან შედგება და საკრებულო უკვე არის მრავალპარტიული...



- თუმცა, ეს ხომ სახელისუფლებო პარტიებია...

- რა თქმა უნდა, მაგრამ ვფიქრობ, აზრთა სხვადასხვაობა და დისკუსია ხშირად იქნება. ვნახოთ, ყველაფერი წინაა. ბევრ რამეს დავპირდით მოსახლეობას და აუცილებლად გავაკეთებთ. რაც მთავარია, ამას მოსაჩვენებლად არ გავაკეთებთ. ხარისხიანი ასფალტი და ინფრასტრუქტურა გვექნება. მაქსიმალურად ვმუშაობდით ამომრჩეველთან, აღმოჩნდა, რომ ხალხმა დიდი მხარდაჭერა გამოხატა. ჩვენსურვილიც გვქონდა, რომ სხვა ძალებსაც მიეღოთ მანდატი, მაგრამ ამჯერად ამომრჩეველმა ასე გადაწყვიტა".

„ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის" დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე **შოთა ჯამასპიშვილი** მიიჩნევს, რომ დედოფლისწყაროში არჩევნები ნორმალურ პირობებში ჩატარდა და შედეგების მიმართ პრეტენზია არ აქვს. თუმცა, ჯამასპიშვილი იქვე აკონკრეტებს, რომ დედოფლისწყაროს ახალი მოწვევის საკრებულო დემოკრატიული არ იქნება, რადგან ის მრავალპარტიული არ არის, შესაბამისად მრავალი აზრი საკრებულოში წარმოდგენილი არ იქნება.

შოთა ჯამასპიშვილი: „არჩევნებზე განსაკუთრებული ექსცესები არ დაფიქსირებულა და ჩვენ არანაირი საჩივარი არ შეგვიტანია. ღამით დაიძაბა ვითარება, თუმცა რა მოხდა, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. გვქონდა მოლოდინი, რომ მანდატის მიღებას მოვახერხებდით, მაგრამ საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ორ რაიონში ვერ გადავლახეთ საარჩევნო ბარიერი, ესაა დედოფლისწყარო და კიდევ ერთი, ეთნიკური უმცირესობით დასახლებული მუნიციპალიტეტი. „ქართული ოცნების" დედოფლისწყაროში აღებული ყველაზე მაღალი პროცენტი თავისთავად იმას უკავშირდება, რომ პრემიერი დედოფლისწყაროდან არის, ასევე ამომრჩეველთა 50%-ი არ გამოცხადდა არჩევნებზე და არ განუხორციელებია საკუთარი ხმა. ამასთან, „ნაციონალურმა მოძრაობამ" და „ქართულმა ოცნებამ" ამომრჩეველთა სრული მობილიზება მოახდინა. სამწუხაროდ, ჩვენ მოგილიზება ვერ შევძელით. ალბათ, მუშაობა დავაკელით, ვერ მივიტანეთ ჩვენი სათქმელი მოსახლეობამდე ისე, როგორც საჭირო იყო.

დედოფლისწყაროელებმა გადაწყვიტონ, ამ შემადგენლობით რამდენად წაადგება საკრებულო რაიონის კეთილდღეობას. დემოკრატიული არჩევნები ნამდვილად იყო, არ მგონია, ვინმეს ვინმესთვის ხელი შეეშალა, ვისთვის მიეცა ხმა... მსგავსი ფაქტები არჩევნებზე არ მსმენია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება დემოკრატიული საკრებულო. არ იქნება ჯანსაღი და კარგი პროცესი დედოფლისწყაროსთვის. გაცილებით მრავალპარტიულობა არა მარტო დედოფლისწყაროს, არამედ მთელ საქართველოს სჭირდება. უმჯობესი იქნებოდა, საკრებულოში მრავალი აზრი ყოფილიყო წარმოდგენილი. გადაწყვეტილებები უკეთესად იქნებოდა გამოტანილი, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... მოსახლეობამ ასე გადაწყვიტა და ჩვენ პატივს ვცემთ ამომრჩევლის ნებას.

ბოლოს მინდა მივმართო დედოფლისწყაროელებს. გილოცავთ, თქვენ გააკეთეთ არჩევანი! იმედია, სწორად და წინ წავა დედოფლისწყაროს საქმე. თუ წინსვლა არ ჩანდა, ჩვენ მანდატით თუ უმანდატოდ, ვეცდებით, მოსახლეობას გვერდში დავუდგეთ," - განაცხადა შოთა ჯამასპიშვილმა.

თავის მხრივ არასაპარლამენტო ოპოზიციის დედოფლისწყაროს ორგანიზაციაშიც აცხადებენ, რომ მანდატის მიღების იმედი ჰქონდათ. განსაკუთრებული დარღვევები არ დაუფიქსირებიათ, რის გამოც საბოლოო შედეგების მიმართ პრეტენზია არ აქვთ და რაიმე საჩივარი არ შეუტანიათ. არასაპარლამენტო ოპოზიცია ასევე დაუშვებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში მეორე ძალად და მთავარ ოპოზიციად კვლავაც გამყალბებელი რეჟიმი დარჩა „ნაციონალური მოძრაობის" სახით.

თამილა გურაშვილი: „გვქონდა მოლოდინი, რომ „ნაციონალური მოძრაობა" რადარებიდან გაქრებოდა, მაგრამ დადასტურდა, რომ ისინი ისევ მთავარ პოლიტიკურ ძალად რჩებიან. არადა დედოფლისწყაროს ყველა სოფელი მოვიარე და ეს მოლოდინი მოსახლეობაშიც ნამდვილად იყო. ახალი ხელისუფლების მიმართაც შეინიშნება უკმაყოფილება, თუმცა ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნების მცირე შანსი მაინც ჰქონდეს. ისინი ოპოზიციად არც ითვლებიან და არც ჩავთვლით. მაგრამ მოხდა ის, რომ სამი წარმომადგენელი დააკავეს. დაფიქსირდა პროცედურული დარღვევებიც. ასეთი რამ მე არ მახსოვს, მაგრამ მთავარი გამყალბებლები ნაციონალები რომ იყვნენ, არც ეს დაგვიწყებია.

ამჯერად ჩვენ ისევ ერთპარტიული საკრებულო მივიღეთ. მხოლოდ ორი ნაციონალი დეპუტატი შევიდა და აშკარაა, რომ ორი მერცხლის ჭიკჭიკი ამინდს ვერ შეცვლის. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ სხვა პარტიებმა ვერცერთი მანდატის მოპოვება ვერ მოახერხეს. უნდა ითქვას, რომ ქართული ოცნების წარმომადგენელთა დამხახურებაა ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" კვლავ მეორე ძალად გვევლინება ქვეყანაში".

მომხდარ ინციდენტზე შეფასებები გააკეთა №14-ე დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით ბუჩუკურმაც. ის ბრალდებებს, თითქოს, მათ შენობაში შემაჯამებელი ოქმის შედეგების გადაკეთება მოხდა, უსაფუძვლოს უწოდებს.

დავით ბუჩუკური: „აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებები იყო, შემაჯამებელი ოქმი ვერანაირად ვერ შეიცვლებოდა ოლქის შენობაში, რადგან ბიულეტენები ითვლება უბანზე და ოქმიც წესის მიხედვით უბანზე ივსება. ამას გარდა, აბსოლუტურად ყველა კომისიის წევრის ხელმოწერაა დაფიქსირებული. ასევე ხელი აქვს მოწერილი იმ უბანზე არსებულ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს.

რადგან საუბნო კომისიაში დათვალა, რა შედეგებიც დადგა იქვე იმყოფებოდნენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც, ასევე უბანზე მიმდინარეობდა ვიდეოგადაღებაც. ასე რომ, ოლქის შენობაში ვერანაირად ვერ მოხდებოდა ოქმის შევსება-დაბალანსება.

ილია მარტყოფლიშვილი

სახალხო დამცველი: დედოფლისწყარომ რეკომენდაციების 100% შეასრულა

სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი იმ უწყებების ჩამონათვალში შედის, რომელთაც ომბუცმენის რეკომენდაციების შესრულების ყველაზე მაღალი ხარისხი აჩვენეს.

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც 2008-2013 წლების პერიოდს მოიცავს, მედიას თავად უჩა ნანუაშვილმა გააცნო. სახალხო დამცველის რეკომენდაციების 50 პროცენტი არ შესრულებულა. კვლევის მიხედვით, 5 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა სხვადასხვა უწყებებს სულ 614 რეკომენდაცია გაუგზავნა, თუმცა აქედან მხოლოდ ნახევარი — 309 შესრულდა, 21 რეკომენდაცია უწყებებმა ნაწილობრივ შეასრულეს.

შეგახსენებთ, უჩა ნანუაშვილი დედოფლისწყაროში გასული წლის ზაფხულში, სოფელ სამთაწყაროში რელიგიური დაპირისპირების ნიადაგზე დაწყებული ხმაურის დროს იმყოფებოდა, მოგვიანებით კი რამდენიმე განცხადება გავრცელდა.

„განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2013 წელს გაგზავნილ რეკომენდაციათა შესრულება. შესრულების ყველაზე მაღალი ხარისხი — 100 % წამოაჩინა უზენაესმა სასამართლომ, საქართველოს პრეზიდენტმა, სერვისების განვითარების სააგენტომ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, გლდანი-ნაძალადევის გამგეობამ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა. სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაცია არ შეასრულა იუსტიციის სამინისტრომ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, პარლამენტმა, ფინანსთა სამინისტრომ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, რუსთავის მერიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სახალხო დამცველის რეკომენდაცია ასევე არ გაითვალისწინა ქვეყნის ათამდე მუნიციპალიტეტმა", — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

გასულ წელს, სოფელ სამთაწყაროს რწმუნებულს გულო ნადირაშვილს დედოფლისწყაროს გამგებელმა საყვედური გამოუცხადა. იმჟამინდელი გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, საყვედური გასულ წელს სოფელში არსებული რელიგიური დაპირისპირების დროს რწმუნებულის პროცესში ჩართულობას და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს უკავშირდებოდა.

ცნობილია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გულო ნადირაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები და მოქმედებები დისციპლინურ გადაცდომად შეაფასა. გამგებელი ქიზიყი.გე-სთან საუბრისას ამბობდა, რომ ამ ჟესტით მან სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა და შესაბამისი ნაბიჯი გადადგა. ირაკლი შიოლაშვილი ამბობდა, რომ ჩანაწერების გაცნობის შემდეგ დარწმუნდა, რომ დისციპლინარულ გადაცდომებს ადგილი მართლაც ჰქონდა და ეს რწმუნებულის საჯარო სამსახურში მუშაობის გამოუცდელობით არის გამოწვეული. სხვაგვარად, ნადირაშვილი ცდილობდა, დაპირისპირება შეძლებისდაგვარად დაერეგულირებინა და ვითარების გამწვავება თავიდან აერიდებინა.

თავის მხრივ, რწმუნებული მიიჩნევს, რომ კანონსაწინააღმდეგოდ არ უმოქმედია.

ომბუდსმენმა დედოფლისწყაროს გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს სამთაწყაროს რწმუნებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების რეკომენდაციით 2013 წლის ივლისში მიმართა.

შეგახსენებთ, გასული წლის ზაფხულში, სამთაწყაროში მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლების მხრიდან პარასკევის ტრადიციულ ლოცვას აჟიოტაჟი ახლდა. ადგილობრივები აცხადებენ, რომ სოფელში მუსლიმი მრევლი თითქმის არ არსებობს და ლოცვებზე დასწრების სურვილი მხოლოდ სამ ოჯახს აქვს. მუსლიმთა სამმართველო კი ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს მათ ვინმე ლოცვაში ხელს უშლის. შემდეგ მუსლიმებმა განაცხადეს, რომ ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან იმამები დედოფლისწყაროში პარასკევის ლოცვის ჩასატარებლად აღარ ივლიდნენ, რადგან მრევლი არ დადის.

ილია მარტყოფლიშვილი

ბასიანის ბრძოლა და ცხენის ნალად გაყიდული სულთანი

ბასიანის ბრძოლა 1203წელს გაიმართა. საქართველოს სამეფო ლაშქრის ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბასიანში (ახლა თურქეთის ტერიტორია), ქ. არზრუმიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით დაახლოებით 60 კმ-ზე შამქორის ბრძოლაში 1195 აღმოსავლეთ თურქ-სელჩუკთა კოალიციაზე გამარჯვების შემდეგ საქართველო წამყვანი პოლიტიკური ძალა გახდა წინა აზიაში. იგი ესარწაფებოდა საზღვრების გაფართოებას და სელჩუკთა საბოლოო უკუგდებას.

საქართველოს იმპერია საფრთხეს უქმნიდა თურქულ იმპერიას, რუმის (იკონიის) სასულთნოს. საქართველოს მეზობელი მუსლიმანი სამთავროები ემორჩილებოდნენ ტფილისის სამეფო კარს. ყოველთა მუსლიმანთა ხალიფა ძღვენით სთხოვდა თამარს, მხოლოდ ხარკი აეღო და არ ერბია ისინი. წინა აზიასა და მცირე აზიაში ორ მეტოქეს — თურქთა და ქართველთა იმპერიებს შორის შეტაკება გარდაუვალი გახდა.

საქართველოზე შეტევისთვის დიდხანს ემზადებოდა რუმის სულთანი რუქნადინი — რუქ-ალ-დინ სულეიმან შაჰი, ქართული წყაროებით ნუქრადინ (ნუქარდინ) ჩარასლანის ძე, რომელმაც თავისი ძმა, ყიასედ-დინქი ხუსრევი, ტახტიდან ჩამოაგდო და სულთანი გახდა. შემდეგ დაიმორჩილა თავისი მეორე ძმა, მალათიის გამგებელი მუიზ-ედ-დინ-კაისურ შაჰი, ასევე, სიძე ფაჰრუნ-დინ-ბეჰრამი, და მთელი იკონიის იმპერიის ერთპიროვნულ მმართველად იქცა. მისი ხელისუფლება ცნო მუსლიმანთა სულიერმა ლიდერმა, ბაღდადის ხალიფა ნასირ ადდინმა და მის სახელზე ხოტბა აღავლინა

მანამდე თამარ მეფის კარსა და რუმის სასულთნოს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ.

რუქნადინმა დიდძალი ოქრო გაიღო დიდი კოალიციის შეკრებისათვის.

შუამდინარეთში, კილიკიაში, გალათიაში, ანკარაში, კაბადოკიაში, ბითვინიაში, სირიაში, ერზინკაში, არზრუმსა და მთელ სათურქეთ-სამაჰმადიანოში, ქალების გარდა, ყველა აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორის თქმით, საქართველოსკენ დაძრულა 400 000 მუსლიმანი. ბასილი ეზოსმოძღვრის თქმით, მუსლიმანთა რაოდენობა 800 000 იყო. შეიძლება, ეს ცნობები გაბერილია, მაგრამ, მაჰმადიანები რომ ქართველებზე რამდენჯერმე მეტი იყვნენ, ეს კი უდავოა.

რუქნადინმა თავისი ჯარი ერზინკის სასულთნოს ტერიტორიაზე შეკრიბა, იქვე გაამზადეს საომარი მანქანები. იხილა რა ასეთი მრავალრიცხოვნება და მომზადებულობა თავისი არმიისა, „აღზავადა გულით“, დაივიწყა ქართველთა მეფისთვის მიცემული აღთქმა მშვიდობისა და თავხედური წერილი მისწერა წმიდა თამარ მეფეს:

„მე, ნუქარდინ სულთანი, ყოველი ცისქვეშეთის მფლობელი, ანგელოსთა დარად თანამდგომი ღმერთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, გაცნობებ მეფე თამარს:

ყოველი დიაცი რეგვენია. შენ გიბრძანებია ქართველებისთვის ხმლის აღება და მუსლიმანთა ხოცვა და მათი თავისუფლების წართმევა, მათთვის ხარკის დადება.

ახლა მე მოვდივარ, რათა დაგსაჯო შენ და შენი ერი, რომ ქართველობამ აღარასდროს გაბედოს ხმლის ხელში აღება, რომელიც ღმერთმა მხოლოდ ჩვენ გვიბოძა.

ცოცხალს დავტოვებ მხოლოდ მას, ვინც იჩქარებს, მოვა ჩემს კარავთან, თაყვანს მცემს, აღიარებს ისლამს, უარყოფს ქრისტეს და დაამსხვრევს ჯვარს.

ეს იქნება სამაგიერო იმისთვის, რაც დაუშავე შენ ჩვენს მონათესავეებს“.

როცა რუქნადინის ელჩი თამარ მეფის სასახლეში მისულა და წერილი წაუკითხავს, კიდევ უფრო უკადრისი სიტყვებიც დაუმატებია, სულთნის მიერ პირადად დაბარებული: თუ მეფე თქვენი დაუტევებს ქრისტეს სჯულს, სულთანი ცოლად მოიყვანს, თუ არა და ხარჭად დაისვამსო...

ამპარტავანი და უზრდელი ელჩის სიტყვებმა აღაშფოთა სამეფო კარი, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და ისეთი სთხლიშა თავხედ თურქს, რომ, „ვითარცა მკვდარი დაეცა და იდვა“.

როცა მოასულიერეს, ზაქარიამ უთხრა: „ელჩი რომ არ იყო, ჯერ ენას ამოგაცლიდი, მერე თავს მოგაჭრიდი ასეთი კადნიერებისთვისო. შემდეგ მას, როგორც ელჩს, გულუხვად საჩუქრები უბოძა თამარ მეფემ და საპასუხო წერილიც მისცა.

თუმცა, წერილის გაგზავნამდე, თამარმა ბრძანა საქართველოს ჯარის შეკრება. რამდენიმე დღეში შეკრბა ლაშქარი ჯავახეთს. მეფეთ მეფე თამარმა ვარძიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე ცრემლებით შეავედრა ღმერთს დავით სოსლანი, ქართველთა ჯარი და სეფე დროშა. შემდეგ ფეხშიშველი ავიდა ამაღლებულ ადგილას და დავარდა ლოცვად. მთელი ლაშქარი აღელვებული, ცრემლმორეული უცქერდა დედოფალს და ლოცულობდა თავადაც. თამარმა ცრემლით დაალტო მიწა. მერე უხმო მხედართმთავრებს და ერისთავებს თავისთან, რათა მთხვეოდნენ წმიდა ჯვარს.

მოდიოდნენ ქართველი სარდლები, ტირილით ეთაყვანებოდნენ ჯვარსა და თამარ მეფის ხელს, ანდერძს უტოვებდნენ მეფეთ მეფეს და შესთხოვდნენ ცოლ-შვილის მფარველობასა და ლოცვას თავიანთი სულისთვის.

შემდეგ წმიდა თამარმა აიღო ხელში წმიდა ჯვარი და სამგზის გადასწერა ჯვარს.

საომრად გაემგზავრა ღმერთსა და წმიდა თამარის წმიდა ცრემლებს მინდობილი 90 ათასი ქართველი გმირი. მეფეთ მეფე ფეხშიშველი და თვალცრემლიანი აცილებდა ლაშქარს, შემდეგ ოძრხეს წავიდა სალოცავად და სამარხულოდ.

ქართველებმა საომარი ხერხიც იხმარეს: სავაჭრო ქარავანთა მისვლა-მოსვლა შეაყოვნეს, რომ სულთანს არ გაეგო საომრად ქართველთა სამზადისის შესახებ. არც სულთნის ელჩი გაუშვეს დროზე ადრე პატრონთან.

ოძრხეში თამარ მეფესთან ერთად იყვნენ: ქართლის კათალიკოსი თევდორე მეორე, ეპისკოპოსები, ბერები, მონაზვნები, მათ შორის ცნობილი ფილოსოფოსი, პოეტი იოანე შავთელი და ევლოგი, სალოსად წოდებული, რომელსაც ღვთისგან წინასწარ მცნობელობის მადლი ჰქონდა მინიჭებული.

იყო ღამისთევა, ლოცვა და ლიტანიობა მთელი საქართველოს ეკლესია-მონასტრებში. თავად თამარიც ღამეებს ტეხდა ლოცვაში. გადიოდა დღეები.

ერთ მშვენიერ დღეს, უცებ, ევლოგიმ ზემოთ დაიწყო ცქერა, შემდეგ, სულელის მსგავსად, ღაღადება დაიწყო, მერე სამჯერ ახტა და დაიყვირა: აჰა, თამარის სახლზე ღვთის წყალობა მოიწიაო! — და, გაიქცა. იოანე შავთელმა უთხრა მეფეს, კეთილი ჩვენება იხილა სალოსმაო. ჩაინიშნეს დღე და საათი.

თამარ მეფის დალოცვის შემდეგ დაძრული ქართველთა ჯარი ბასიანს მიადგა — ადგილს, რომელსაც ბოლისციხეს უწოდებენ (იქ იყო დაბანაკებული რუქნადინის ჯარი).

ბასიანის მხარე ოდითგან ქართული ტომებით იყო დასახლებული. სწორედ კოლხური ტომის — ფასიანების სახელი შეერქვა ამ კუთხეს. ადგილი, სადაც ბასიანის ბრძოლა მოხდა, დაახლოებით 60 კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ არზრუმიდან (კარნუქალაქი).

ქართველთა ჯარზე გამარჯვების შემთხვევაში, რუქნადინს უნდოდა, ბასიანიდან სამი მიმართულებით შემოსეოდა საქართველოს: ბასიანის მიმდებარე ტერიტორიიდან იღებს სათავეს ჭოროხის ხეობა (თორთუმი, ართვინი — აჭარა), მტკვრის ხეობა (ოლთისი, არტაანი, ახალციხე), არაქსის ხეობა (ყარსი, ანისი).

ქართველები რომ მიუახლოვდნენ რუქნადინის ბანაკს, მიავლინეს კიდეც მისი ელჩი, რომელსაც თან ჰქონდა საქართველოს იმპერატორის წერილი:

„შენ დიდძალ ოქროსა და მრავალრიცხოვან მხედრობას ხარ მინდობილი, მე კი — უფალს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა და ჯვრის ძალას. წავიკითხე შენი ღვთის განმარისხებელი წერილი... შენ თაყვანისცემას ითხოვ? წამოვგზავნე ქრისტეს მხედრობა არა თაყვანისცემად, არამედ შენს დასამხობად და, აი, ისინი შენი კარვის წინ დგანან...“

ეს წერილი დილით მიუტანეს რუქნადინს. მართლაც, ღამით, უჩუმრად და მოულოდნელად მისული ქართველები უკვე მისი ჯარის წინ იყვნენ დაბანაკებულები. გაბუდაყებულ რუქნადინს უსაფრთხოების ნორმალური ზომებიც კი არ მიეღო, ამიტომ, ქართველები მოულოდნელად მიადგნენ და დაესხნენ თავს. საერთო სარდლობა დავით სოსლანს ებარა. მან ჯარი სამ ნაწილად დაყო. წინამბრძოლები იყვნენ ზაქარია მხარგრძელი — ამირსპასალარი, შალვა მანდატურთუხუცესი და მისი ძმა — ივანე ახალციხელი, ჭიაბერი და სხვა თორელები. რა დაინახეს მუსლიმანებმა ქართველთა უშიშრად შეტევა, მიატოვეს სადგომები და გამაგრებულ ადგილებს შეეფარნენ. თურქთა ამ ნაწილებს მეორე ეშელონი წამოეშველა. ხანგრძლივ ბრძოლაში ცხენები დაუხოცეს ივანე მხარგრძელმსახურთუხუცესს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს და სხვა მეთაურებს.

სხვა ქართველებმა ეს რომ იხილეს, ჩამოქვეითდნენ. დადგა კრიტიკული მომენტი. ამ დროს დავით სოსლანმა გენიალური ხერხი იხმარა: მან თურქების წინააღმდეგ დატოვა ჩამოქვეითებული ქართველები, რათა თავად ქართველთა ცხენებს არ დაეზიანებინათ ქვეითი თანამებრძოლები; ცხენოსანი მოლაშქრეებით, თვითონ მარხცხნიდან, ხოლო ზაქარია მხარგრძელი მარჯვნიდან, მოულოდნელად ეკვეთნენ მტრის ფლანგებს.

სოსლანის გეგმამ წარმატება მოიტანა — უცებ მტრის ჯარი „განსქდა“, გაიფანტა და გაიქცა.

ქართველები გამოუდგნენ მტერს, ღამემდე სდევდნენ და ხოცავდნენ ან იპყრობდნენ.

ქართველთა ჯარის ალაფი აურაცხელი იყო — რუქნადინის დროშა, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ჭურჭელი, ცხენები, ჯორები, აქლემები, კარვები, ფარდაგები, თვალმარგალიტი და სხვა.

მუსლიმანთა კარვებში ქართველებმა იპოვეს შაქრის ნატეხების მთა. იმ ადგილებში ბევრი წყარო იყო. ქართველთა მეომრებმა მუზარადებს ამოაფხრიწეს ჩასაფენები, შაქრით გატენეს, წყალი დაასხეს, მოურიეს და სვამდნენ დატკბილულ წყალს.

უამრავი ტყვე იგდეს ქართველებმა ხელთ, მათ შორის თურქი ამირები და წარჩინებულები, რომლებიც, ზოგი ცხენის ძუაზე მიბმული, ზოგი თმებით ურთიერთგადაბმული, სხვები კი თოკებით გაბაწრულნი მიჰყავდათ „ვითარცა თიკანნი“.

მეფეთ მეფე თამარი ვარძიაში შეეგება გამარჯვებულ ლაშქარსა და სახელოვან მეუღლეს. როცა გადაამოწმეს, მუსლიმანთა გაქცევის დრო აღმოჩნდა ის ჟამი, როდესაც სალოს ევლოგის ჩვენება ჰქონდა.

სრულიად საქართველოსა და კავკასიის იმპერიის დედაქალაქი თბილისი დიდად მოკაზმული შეხვდა ტრიუმფატორ ლაშქარს. მოქალაქეების წინ გაატარეს დატყვევებული მუსლიმანები. თამარ მეფე ლმობიერად მოეპყრო ტყვეებს: ამირებს, მხედართმთავრებს, დიდებულებს — არ მოაკვლევინა, მხოლოდ ციხეებში გამომამწყვდია. ერზინკის სულთანი კი ცხენის ერთ ნალად გაყიდა.

ინგა შიოლაშვილი

გახსენება

მერაბ მაძღარაშვილი



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი ლამაზი სული იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადასახლდა, მამა. ძალიან გვტკივა უშენობა და ვერაფერი გვიქარვებს უშენობით გამოწვეულ სევდას. არასოდეს დამავიწყდება შენი ბოლო დარიგება, - პატიოსნად იცხოვრეო, დამიბარე, ცხოვრება რთულია და კაცურად გაიტანეო. უნდა გაუძლო ტკივილსაც და არც ბედნიერებამ დაგაბრმავოსო. დედას გაბარებო, დამიბარე, არ ინერვიულოსო მეტისმეტად. ნონაც ჩამაბარე,-გაუფრთხილდიო.

ერთი წელი გავიდა, რაც შენს დანაბარებს ვეჭიდები, მამა. იოლი არ აღმოჩნდა შენი სათხოვარის შესრულება. ვერც ჩემს დას ვუმსუბუქებ იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია და ვერც დედას შევუშრე ცრემლი.

პატარა აღარ ხარო, დამიბარე. არადა, ახლა მივხვდი, უშენოდ რა პატარა და უსუსური ვყოფილვარ. დედა იქნება შენს გვერდითო, ძლიერი არისო დედაშენი. არადა, რა სუსტია უშენოდ, მამა. სურათებს ეფერებიან შენი შვილიშვილებიც და თითქოს ამგვარად იქარვებენ მონატრებას.

უშენობა ერქვა ამ გაზაფხულს. სიცარიელე ეზოში, სახლში, ჩვენს გულებში... მივდივარ შენს სამუდამო განსასვენებელთან, დავყურებ მიწას და ვფიქრობ,-კაცი ბედნიერი მაშინაა, როცა მშობლები ჰყავს გვერდით.

ამ გაზაფხულზე 74 წელი უნდა შეგსრულებოდა მამა, თუმცა, მუხთალმა სიკვდილმა არ დაგაცადა, სიხარულით აღგვნიშნა ეს თარიღი. გვიყვარხარ, მამა, გვენატრები და ზეციდანაც კი გვეიმედები.

შენი მონატრებული ოჯახი

გახსენება

დარეჯან ბეგიაშვილი

30 ივნისი ჩვენი ოჯახის თავზარდამცემი, ჩვენი დედაშვილობის დასასრული, მამის გულის მომკვლელი, შენი ქმარ-შვილის დამწიოკებელი, შენი დების სახეზე ღიმილის გამქრობი დღე.

30 ივნისს ავადმსაგონარი ღამე, როცა შენს უკანასკნელ სუნთქვას ჩაჰყურებდა ჩვენთან ერთად შენი გამზრდელი დეიდა, შენი მამიდაშვილი ნინო, რომელიც შენს დებთან ერთად წუთითაც არ შორდებოდა შენს სარეცელს, შენი კარის მეზობლები. შენმა გამზრდელმა დეიდამ დაგახუჭინა თვალები. ერთი წელი გავიდა, რაც შენს შვილებს დედა არავისთვის დაუძახიათ, რაც უშენოდ გრძელდება ჩვენს ოჯახში სიცოცხლე. ვაი, ამ სიცოცხლეს შენი უბედური მშობლებისთვის. დავდივარ ეზოში და ყოველი მხრიდან ისევ ველოდები შენი სიცოცხლით სავსე და ხალისიან შეძახილს „მარინ, სადა ხარო”, ბოლო დროს ხშირად სახელით მომმართავდი „დედას”. ცრემლიანი თვალებით დავყურებ შენს სარეცელს, საიდანაც ზეცაში გაფრინდა შენი კეთილი სული. თითქოს შენი ნიკოლოზიც გრძნობს ამ დღეებს, ძალიან გაღიზიანებულია. შენი შვილები მხოლოდ ტუჩებით იღიმიან, თვალები კი, სულ სევდიანი აქვთ. ჩვენს ეზოში აყვავებულ ვარდ-ყვავილებს კრეფენ და შენს სურათებთან აწყობენ, შენც ხომ ყვავილივით ლამაზი და ხანმოკლე ცხოვრება გარგუნა განგებამ. სულთმოფინობის დღეს აღვნიშნეთ შენი წლისთავი. შენს საფლავთან მოიყარა თავი ყველა ჩვენმა ახლობელმა, ყველა შეაძრწუნა უბედური დედის მოთქმამ და გოდებამ. მამის უსიტყვო ცრემლებმა, შენი დები შენს გაყინულ ქვაზე გამოსახულ შენს სახეს ეხუტებოდნენ. დედის ცრემლებმა დაამძიმა შენი სული ზეცაში, ვიცი, გადამეტებული ტირილი სულს გიმძიმებს, მაგრამ რა ვუყოთ იმ დიდ ტკივილს და მონატრებას, რომელიც შენს მიმართ გვაქვს?! ჩემგან შეწუხებული და დამძიმებული სული დაგიმშვიდა შენი მოძღვრის მამა ლევანის სასაფლაოზე მოსვლამ და პანაშვიდის გადახდამ. ის ხომ განსაცდელში ყოველთვის შენს გვერდით იყო. არც გარდაცვლილს გტოვებს უყურადღებოდ. მე კი მისი ლამაზი ოჯახის კარგად ყოფნას და ხანგრძლივ სიცოცხლეს შევთხოვ უფალს ჩვენი თანადგომისთვის. ძალით გავახდევინე შავები შენს დებს. შენ ჩემი და მამას შავებიც გეყოფა. მათ კი, თავიანთი და შენი შვილებისთვის უნდა იცოცხლონ დიდხანს. შენი სიძეები შენს საფლავს არ ტოვებენ უყურადღებოდ. ყველაფერი უნდათ ლამაზად გააკეთონ, რომ შენი სული მშვიდად იყოს.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ. იძინე მშვიდად, ჩვენ კი, სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ.

შენი უბედური მშობლები: მარინა, ნიკო; **დები:** ხათუნა, ქეთი ბეგიაშვილები; **მეუღლე:** კობა; **შვილები:** ანა, ნიკოლოზ ჯოჯიაშვილები.

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და დირექცია იუწყება თანამშრომლის

დარიკო (ბელა) ბოძოლიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ბიძები შოთა, ვანო ბიკაშვილები; ბიცოლები თინა გოშაძე, ნანა შანშიაშვილი, ნაზი მოსაშვილი; ბიძაშვილები კახა, ლალი, მუხრანი, ილიკო ბიკაშვილები ოჯახებით იუწყებიან დისშვილის და მამიდაშვილის

მარინა ლალაიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ არმენ ლალაიანს.

შვილი არმენა; მული ელმირა შვილებით; სიძე ნორაინ ხალათიანი; მაზლები: ვალერი, კოლია ლალაიანები ოჯახებით; ბიძები: შოთა და ვანო ბიკაშვილები ოჯახებით იუწყებიან

მარინა ლალაიანის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 18 ივნისს.

მსოფლიოში უძველესი რეცეპტი... ლუდის რეცეპტია

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უძველეს სასმელს - ლუდს მილიარდობით ადამიანი საუკუნეების განმავლობაში დიდი სიამოვნებით მიირთმევდა და ის დღესაც უზომოდ პოპულარულია.

ლუდის სახეობები დღეს საკმაოდ, მრავალფეროვანია და ფერითა და არომატით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, მისი საფუძველი კვლავ უცვლელია ...

წარმოგიდგენთ რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას თქვენი ცოდნის გასაფართოებლად, აი ისინიც:

1. თუ თქვენ ლუდის მოყვარული ან ენთუზიასტი ბრძანდებით, განმარტების მიხედვით „ცერევიზაფილი“ ხართ, ხოლო თუ ლუდის ბოთლებს აგროვებთ, მაშინ „ლაბეორფილისტი“ ყოფილხართ.

2.ლუდი სამართლებრივად განსაზღვრულია, როგორც ბავარიის მთავარი სასურსათო პროდუქტი.

3. ჩაის შემდეგ ლუდი ყველაზე უფრო პოპულარული სასმელია მსოფლიოში.

4. ძველი ბაბილონისდროინდელი ჰამურაბის კანონების თანახმად, ვაჭარი შეიძლება სიკვდილით დასჯილიყო ლუდის განზავებისთვის .....ვაი!

5. ძველ ინგლისში პატარძალი ქორწილში სტუმრებს ელით უმასპინძლდებოდა. სანაცვლოდ სტუმრები ახლად დაქორწინებულებს ფულს ჩუქნიდნენ. ლუდი ცობილი იყო როგოც „პატარძლის ელი“ (Bრიდე Aლე, აქედან წარმოიშვა სიტყვა ბრიდალ)!

6. ძველ ეგვიპტეში ქვის მჭრელები და მონები, რომლებიც პირამიდების მშენებლობაზე მუშაობდნენ, ანაზღაურებას ლუდის სახით იღებდნენ. ამ ტიპის ლუდს უწოდებდნენ „ქეშს“, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა ცასჰ (ნაღდი ფული)!

7. პირველი ოქტობერფესტი მიუნხენში 1810 წელს შედგა ... და დღემდე წარმატებით იმართება!

8. აშშ-ს ეროვნული ჰიმნი თჰე შტარ შპანგლედ Bანნერ („ვარსკვლავური დროშა“) სინამდვილეში შთაგონებული იყო სიმღერით Aნაცრეონ, რომელსაც ბრიტანელები ლუდის სმისას მღეროდნენ.

9.აშშ-ს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა ერთხელ აფრიკულ საფარიში მოგზაურობისას თან 500 გალონი ლუდი წაიღო ... საინტერესო მოგზაურობა უნდა ყოფილიყო!

10. მსოფლიოში უძველესი რეცეპტი... ლუდის რეცეპტია!

11. ლუდის ბოთლები მხოლოდ 1850 წელს გამოიგონეს. მანამდე ლუდის მოყვარულებს საყვარელი სასმელი სახლში სპეციალური ჭურჭლით მიჰქონდათ.

12. ცენოსილიკაფობია არის ცარიელი ჭიქის შიში.....(ბარებში გავრცელებული ფობია).

13. შუა საუკუნეების ინგლისში ლუდს ხშირად საუზმეზე მიირთმევდნენ.

14. მე-13 საუკუნეში გავრცელებული იყო ბავშვების ლუდში მონათვლა.

15. კენტუკიში ნებისმიერი ადამიანი, ვინც ლუდს სვამს, ფხიზლადაა მიჩნეული, სანამ არ ნაიქცევა. ნამდვილად კარგი წესია, ვერაფერს იტყვი.

16. 1642 წელს პირველი ლუდსახარში ამერიკაში ნიუ ჯერსიში, კერძოდ ჰობოკენში აშენდა.

17. ძველ ეგვიპტეში მინიმალური ხელფასი ლუდის ორი კონტეინერი იყო.

18. 4000 წლის წინ ბაბილონში დამკვიდრებული იყო ტრადიცია, რომ ქორწილიდან ერთი თვის განმავლობაში პატარძლის მამა სიძეს იმდენი თაფლის ლუდით ამარაგებდა, რამდენიც ამ უკანასკნელს შეეძლო დაელია. რადგან მათი კალენდარი მთვარის ციკლზე იყო დამოკიდებული, ამ პერიოდს „თაფლობის თვეს“ ანუ ჰონეყმოონ-ს უწოდებდნენ.

19. პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონს საკუთარი ლუდსახარში ჰქონდა საკუთარ სახლში მაუნტ ვერნონში.

20. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წელს ეგვიპტელები უკვე ხარშავდნენ ექვსი განსხვავებული ტიპის ლუდს.

21. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1600 წელს ეგვიპტეში ლუდი 100-მდე დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

22. ჴაბსტ Bრეწერყ-იმ 1940 წელს პირველად გამოუშვა ლუდის ექვსპაკეტიანი შეკვრა. კომპანიამ კვლევა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ ლუდის თუნუქის ექვს ქილას იდეალური წონა ჰქონდა საშუალო დიასახლისისთვის მაღაზიიდან სახლში მისატანად!

23. აშშ-ს საზღვაო კორპუსმა პირველი სარეკრუტო ცენტრი ბარში გახსნა.

24. ვინ ამბობს, რომ შუა საუკუნეებში ბერებმა არ იცოდნენ დრო როგორ გაეტარებინათ! მათ დღეში ხუთი კვარტა ლუდის დალევა შეეძლოთ!

25. 1300 წლიდან 1700 წლამდე ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებში არსებობდა შიდა ლუდსახარშები სტუდენტებისთვის ლუდის დასამზადებლად. ჰარვარდში 1674 წელს მუშაობდა საკუთარი ლუდსახარში და გამოყოფილი იყო ხუთი დარბაზი ლუდის დასალევად.

26. ჩინეთის იმპერატორის ჩვ.წ. აღ.-მდე 1116 წლის ედიქტში აღნიშნული იყო, რომ ზეცა ადამიანებისგან მოითხოვდა ლუდის დალევას.

27. ეგვიპტეში არსებობს ლუდი სახელწოდებით „ბაუსა“(ბოუსა), რომელიც ფეტვისგან იხარშება და უკვე 3,000 წელია არსებობს. თანამედროვე ეთიოპიას აქვს ამ სასმელის ხორბლისგან დამზადებული ვერსია. მიჩნეულია, რომ ამ სახელწოდებისგან წარმოიშვა სიტყვა ბოოზე (სასმელი).

28. მეფე ფრედერიკ დიდმა ერთი პერიოდი ყავა აკრძალა ლუდის გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით.

ულოცავენ!

ვეფხო ოზაშვილს!

ჩემს ძვირფას შვილს, ვეფხო ოზაშვილს ვულოცავ მისი ლამაზი, ჭკვიანი, ნიჭიერი იურისტი ქალიშვილის ანუკა ოზაშვილის და შვილიშვილის ანდრიას დაბადების დღეებს. 19 ივნისს 24 წლის ხდები ანუკი, გილოცავ ამ იუბილეს და როგორც შენი კარგი სწავლით და სამსახურით გაგვახარე, ამჯერად შენი გაბედნიერებით გაგეხარებინოს ჩვენი გულები. იცოცხლე, იდღეგრძელე და გამრავლდი.

ჩემო პატარა ანგელოზო, ანდრია ჭეხაშვილო, ჩემი ვეფხიას შვილიშვილო, გილოცავ დაბადების დღეს, 18 ივნისს 3 წლის გახდები, გაუმრავლდი შენს დედიკო მარიამს და მამიკოს ივას. მრავალი წელი შეგსრულებოდეს.

თქვენი დედა და ბებო ლეილა ფიროსმანაშვილი.



ყურადღება!

ზოოვეტერინარულ მაღაზიას ესაჭიროება ახალგაზრდა ვეტექიმი. შესაძლებელია ფარმაცევტის დასაქმებაც. მსურველები დაგვიკავშირდით:

557 75 03 01

იყიდება

იყიდება სკუთარი ბინა ქალაქ დედოფლისწყაროში, ჭავჭავაძის ქ. N43. ორი ნაკვეთით. (ფასი შეთანხმებით). მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე

592 20 20 85, ზურა.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 30.06		სამშაბათი 01.07		ოთხშაბათი 02.07		ხუთშაბათი 03.07		პარასკევი 04.07		შაბათი 05.07		კვირა 06.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
26 °	20 °	25 °	20 °	28 °	24 °	28 °	22 °	28 °	22 °	28 °	21 °	21 °	18 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K